# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509
8 1991

645
991



# მშვენიერნი ახვლედიანთა გორიდან



დამანა მდივნიშვილი

ახვლედიანების გვარი თუ გაგიგონიათ ვინმე? იქაა მისი დედულეთი. ხელგაშლილები იდგნენ იქაური გოგონები წვიმის მოლოდინში და როცა ვარდისფერ ხელის გულებზე წვეთები დაეცემოდათ, ერთს შეჰყვირებდნენ და გაიქცეოდნენ — ნინო, მარიამი, ნატაშა ელენე, მინადორა, მაშიკო, პოკია. იცოდნენ, წვიმის ნიაღვარს სამკაულები ჩამოჰყვებოდა, რომლებსაც იკეთებდნენ ყურებზე, კისერზე, მკლავებზე, თითებზე... რა იცოდნენ, უძველესი ქართული ოქრომჭედლობის ძვირფასი ნიმუშები რომ იყო. უბრალო ეგონათ და ამით დამშვენებულნი დედოფლებს ჰგავდნენ ისედაც ლამაზები.

დიდის ამ ნაამბობით შემოვიდა ქართველი ქალის სილამაზე დამანა მდივნიშვილის ცნობიერებაში. ძველად ვანი სავაჭრო-კულტურული ცენტრი იყო და მიმოდიოდნენ ქარავნები ევროპიდან აზიისკენ. ძველად ვანში განსაკუთრებით ლამაზები იბადებოდნენ. ქალბატონ დამანას ახლობლები ყველანი ლამაზები იყვნენ: ბებია ელისაბედ ლახნიშვილი-ახვლედიანისა, დედა მინადორა ახვლედიანი, დეიდები მაშიკო, ნატალია და ელენე ახვლედიანები, ბიძაშვილი ნინო ახვლედიანი-ჩიქავაძისა, ბიძები ვარლამ და ამბროსი ახვლედიანები, ბიძაშვილი — ლიანა ახვლედიანი... მთელი ვანი ლამაზი იყო, მთელი სამეზობლო.

მამა სხვაველი გახლდათ, ქვემო რაჭიდან — წარმოსადეგი ვაჟკაცი. დედა ნაზი, მამა ნაზერ..., და შვილიც მიმზიდველი შეიქნა. შინაგანმა მოწოდებამ თეატრის კარი შეაღებინა დამანას. თავისებური კეთილხმოვანებით ამეტყველა სცენაზე ეკატერინე ჭავჭავაძე, ქეთო, ძიძია, ცაბუ, ფაცია... მისით მოიხიბლნენ ზღვისპირა ქალაქში. გაზეთები ხოტბას წერდნენ. ახალგაზრდები გარს ეხვეოდნენ. რა დასანანია, რომ ეს გაგრძელდა მხოლოდ ორი წელი. მერე არჩევანის წინაშე დადგა — თეატრი ან ოჯახი. ოჯახი არჩია. სილამაზის ტრფიალს სიყვარულიც ლამაზი ერგო. მისი მეუღლე, დამსახურებული ინჟინერი ლაშა მაცაბერიძე მომხიბლავი ვაჟკაცი იყო.

თეატრს რომ ჩამოშორდა, სასცენო მეტყველების პედაგოგად დაიწყო მუშაობა საესტრადო სასწავლებელში. აქ სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა. შეიყვარა ახალგაზრდები, თითოეული მოსწავლე თავისი ინდივიდუალობით, და თვითმყოფადობით. ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენდა ხოლმე მათში და ხარობდა. სულიერი მეგობრობა თანდათან ისაზრდოდა და ისე ძლიერად იდგამდა ფესვებს, რომ ვერაფერი არყევდა. ამიტომაა ეს მეგობრობა დღესაც რომ გრძელდება.

გაიტაცა ხატვამ. ხატავდა პეიზაჟებს, პორტრეტებს. ორიგინალურია მისი ავტოპორტრეტი, შვილის პორტრეტი... უყვარს მოგზაურობა, მერე მისი გაანალიზება და ქაღალდზე გადატანა. ასე დაიბადა ნარკვევები, ჩანახატები.

დამანა მდივნიშვილის ახალი გატაცება ჯერ ბევრისათვის უცნობია. მან არაჩვეულებრივი შეუპოვრობით მოიძია და შეაგროვა ლამაზ ქართველ მანდილოსანთა პორტრეტები, ალბომი, რომელსაც იგი გამოსაცემად ამზადებს დავიწყებისაგან გადაარჩენს ქართველი ქალის სილამაზეს. დიდი სიამოვნება ელის მნახველს, ჩვენშიც, უცხოეთშიც. ალბომის გამოსვლამდე კი ქალბატონ დამანას ნებართვით ჩვენი ჟურნალი დროდადრო შემოგთავაზებთ ამ ლამაზ ბანოვანთა პორტრეტებს.

ლია კაკაბაძე



ნატალია ახვლედიანი



ნინო ახვლედიანი



ნინო ახვლედიანი და იულია ნიკოლაიშვილი



მაშიკო ახვლედიანი



ლია ახვლედიანი



მინადორა ახვლედიანი

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
მხატვრულ-
ლიტერატურული
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

ნაზი თარბამაძე,
მაია თომაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
ნანა ობოლაძე,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — მედეა ჩახავა თავის დიდ ოჯახთან ერთად; მეოთხეზე — დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო", შ. კოსტავას ქ. 14

# ა ნ ო ნ ს ი

## ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში წაიკითხეთ:

### ირაკლი ჯოლოხავა: სანამ ბავშვს იშვილებდეთ...

რესპუბლიკურ სამედიცინო-გენეტიკურ კონსულტაციაში, ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს კლინიკური ბიოქიმიის გენეტიკის ლაბორატორია, რომელშიც ახალშობილის გენეტიკურ მდგომარეობას შეგიმოწმებენ.

### შიო ლარცულიანი: ლანდები

გთავაზობთ არკადი ავერჩენკოს მიერ 1923 წელს საზღვარგარეთ გამოცემულ წიგნში „თორმეტი პორტრეტი" შეტანილ ჩანახატს ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედის — ლევ ტროცკის მეუღლეზე.

### ლუბა შეწირული: შიდსის აჩრდილი მოგვიახლოვდა

ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გახშირდა პირის ღრუს შიდსის შემთხვევები. ერთ-ერთ პროფესორსტომატოლოგის მონაცემებით მხოლოდ ნიუ-იორკში აღრიცხულია ასეთი 25 ათასი ავადმყოფი. აქედან 4 ათასი სტომატოლოგიური პროცედურების შედეგად და ინფიცირებული არასტერილური ხელსაწყოებით.

### თამარ გეგეჭკორი: ახალგაზრდული მოდა

რას გვთავაზობენ ახალგაზრდა ქართველი მხატვარ-მემოდელეები წლეულს. რა ტენდენციით ხასიათდება წლევანდელი მოდა?

### ტესტი ეჭვიანობაზე

გსურთ გაიგოთ ეჭვიანი ხართ თუ არა? ყურადღებით წაიკითხეთ ეს ტესტი. იგი დაგეხმარებათ საკუთარ ხასიათში წვდომაში.

### ხელსაქმე

ასე მოქსოვილი ბერეტი, ყელსახვევი და ხელთათმანები ყველა თქვენგანს მოუხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნათლობა

ადამიანი ინათლება ღვთის მადლით. მადლი ენიჭება ადამიანს, როდესაც თავისი ნებით ღვთისათვის ხდება სათნო. ამის პირობაა მოწყალება, სიმართლე, სიყვარული, ღვთის რწმენით გამსჭვალული აზრი, სიტყვა, საქმე, გრძნობა.



## მეოთხე წერილი

მადლი სულის საზრდოა და სული ღვთის მადლს განიცდის, მიუხედავად იმისა, გონება აცნობიერებს თუ არა სიტყვას ან აზრს. ამის მაგალითია ჩვილი იოანე ნათლისმცემლის აღძვრა დედის მუცელში, როდესაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ხარების შემდეგ მოვა ელისაბედთან. ამიტომ ეკლესია აკურთხებს ჩვილი ბავშვის ნათლობას იმ პირობით, რომ შემდეგ მისი მშობლები და ნათლიები იზრუნებენ მონათლულის სარწმუნოებრივ აღზრდაზე.

რწმენა რომ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ადამიანს, ჩანს მაცხოვრის სიტყვებიდან: „წარვედით ყოველსა სოფელსა, და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-იღოს, ჰსცხონდეს: ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს“.

ეკლესიაში ძველი დროიდან არსებობდა ნათლობისათვის მომზადების წესი, რომელსაც ბერძნულად ეწოდება კატეხიზაცია. ეს წესი ითვალისწინებდა ადამიანის სარწმუნოებრივ განათლებას, ეკლესიის სწავლა-მოძღვრების გათვითცნობიერებას, ზნეობრივი და სულიერი ცხოვრების საფუძვლებს, სახარების კითხვას, ლოცვების შესწავლას, მარხვების დაცვას, და საერთოდ, ეკლესიური ცხოვრების რიტმში ჩართვას.

ახლადმოქცეულთა კატეხიზაციისათვის არსებობდა სახელმძღვანელო. ასეთ წიგნად პირველი საუკუნიდან ცნობილია „დიდაქე“ ანუ „თორმეტი მოციქულის სწავლება“. შემდეგში საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისდამიხედვით ახალი სახელმძღვანელოები იწერებოდა, მაგრამ მთავარი უცვლელი რჩებოდა: ის, რომ არსებობს ორი გზა. გზა სიცოცხლისა და გზა სიკვდილისა, და რომ ღმერთმა ადამიანს ყველა საშუალება მისცა ქრისტეს მიერ, სიცოცხლის გზით სვლისათვის და მარადიული ცხოვრებისათვის. ეს გზა და ეს სიცოცხლე კი იწყება ჭეშმარიტი რწმენით, ნათლობით.

ბოლო ათეული წლების მანძილზე გარკვეული მიზეზების გამო ეკლესიაში კატეხიზაცია, ნათლობისათვის მომზადება არ სრულდებოდა. რასაკვირველია, ამას მძიმე შედეგი მოჰყვა. უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჩვენს ეკლესიაში უნდა აღსდგეს უძველესი წესი ახლადმოსულთა სარწმუნოებრივი განათლებისა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არის შემთხვევები, როდესაც ნათლობისათვის მომზადებაში გულისხმობენ ნათესავების და მეზობლების სუფრაზე დაპატიჟებას, ხოლო ნათლობის ეკლესიური წესი ფორმალობად, აბსტრაქტულ რიტუალად მიაჩნიათ. იმედია, რომ ორ-სამ წელიწადში ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, ეს დამოკიდებულება ნათლობისადმი არსებითად შეიცვლება. მშობლებმა და ნათლიებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ მათ არ ექნებათ გათვითცნობიერებული რწმენა და სარწმუნოებრივად არ იცხოვრებენ, ვერ შეასრულებენ თავის ქრისტიანულ მოვალეობას შვილებისა და ნათლულების წინაშე..

დღეს ჩვენი ერის ცხოვრებაში ყველაზე აქტუალურია რწმენისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების აღდგენა. აქაც ორი გზა არსებობს: შეიძლება ეს ბუნებრივად მოხდეს, სარწმუნოების არსის გაზიარებით და შეიძლება ხელოვნურად, გარეგნული წესების მექანიკური გამეორებით.

მამა გიორგი გამრეკელი,
თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორ-პროტოპრესვიტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არა კაც ჰკლა“

## საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს მიმართვა საქართველოს ქალებს



წლეულს 22 ივნისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დაიბეჭდა ქალბატონ ნუნუ როინიშვილის წერილი „გამომეხმაურეთ, ქალებო,“ ეს გახლავთ დედა უნივერსიტეტის 19 წლის სტუდენტის ზაზა როინიშვილისა, რომელიც 19 აპრილს თავის მეგობართან ერთად მხეცურად მოკლეს უნივერსიტეტის წინ. ავტორი თავის წერილში სრულიად საქართველოს ქალებს მოუწოდებს ხმა აიმაღლონ ძმათა კვლის, დაუნდობლობის, დაუსჯელობის წინააღმდეგ.

ქალთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა აღნიშნულ წერილზე, აგრეთვე ამ ბოლო პერიოდში მომხდარ გახმაურებულ მკვლელობებზე, საქართველოში არსებულ რთულ კრიმინოგენულ ვითარებაზე საერთოდ და საჭიროდ ჩათვალა რესპუბლიკის ქალებისადმი ამ მიმართვის მიღება.

ქალთა საბჭო თანაგრძნობას და სრულ მხარდაჭერას უცხადებს ტრაგიკულად დაღუპული სტუდენტის — ზაზა როინიშვილის დედას, ზაზას მეგობრის, დათოს დედას, ყველა დედას, ვისი შვილიც ბოროტი ადამიანების გულქვაობამ და განუკითხაობამ იმსხვერპლა. ამავე დროს, თვლის, რომ კანონისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად აუცილებელია მთელი ჩვენი საზოგადოების, მათ შორის ქალთა საბჭოების, თითოეული ქალის მეტი ძალისხმევა, უფრო აქტიური და პრინციპული ჩარევა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

ქალთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებს საქართველოს ქალებს-დედებს, ბებიებს, დებს, შვილებს — ყოველი საშუალებით აღვუდგეთ წინ ძმათა კვლას. ჩვენი ოჯახი ვაქციოთ იმ ბუდედ, საიდანაც დამნაშავე შვილი არ აფრინდება, სადაც დამნაშავე ქმარი და მამა ვერ გალაღდება, თავს ვერ შეაფარებს. გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა შვილის საქციელზე, რადგან იგი ჩვენი სულის და სხეულის ნაწილია. ჩვენ მოგვიწევს ანგარიში ჩავაბაროთ ქართველ ერს იმაზე, თუ როგორი მომავალი აღვუზარდეთ დამოუკიდებელ საქართველოს, ნუ ვაპატიებთ ნურავის, მათ შორის საკუთარ შვილსაც უზნეობას, გულქვაობას, სისასტიკეს, რასაც ახალგაზრდა დანაშაულისაკენ მიჰყავს, ვიზრუნოთ მათი სულიერი აღზრდისათვის. ჩავუნერგოთ კეთილგონიერება, ქრისტიანული სათნოებით შევუწყოთ ხელი ჰუმანიზმის დამკვიდრებას. ჰუმანიზმისა, რომლის უპირველესი ზნეობრივი პოსტულატია „არა კაც ჰკლა“.

გვახსოვდეს, ქართველი ერის ხვალინდელი დღე ჩვენს ხელშია!

**საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭო.**

# ქიზიყელი ურჯულოები

**საბჭოთა ხელისუფლება ყაჩაღობასა და ღვთისმსახურებას თანაბარ ბოროტებად მიიჩნევდა**

როცა ქართული ეკლესიის ზარების გუგუნი მესმის, მუდამ მახსენდება შორეული ბავშვობა. ოციანი წლები, მყუდრო და შეუდარებელი სიღნაღი, სადაც მაშინ ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა. მამაჩემი მიწისმზომელი იყო. ზაფხულობით საველე სამუშაოებზე გადიოდა და მეც ხშირად მისი თანამგზავრი ვიყავი.

ჩვენი ბინის აივნიდან დიდებული ალაზნის ველი და პირქუში კავკასიონი მოჩანდა. თვალწინ იშლებოდა „ქიაურის ტყე“, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის ერთ-ერთი თავშესაფარი.

1922 წლის შემოდგომაზე სასწავლებელში მიმაბარეს. სკოლის შენობას მთავარანგელოზის ქართული ეკლესია ემიჯნებოდა. ოდნავ მოშორებით, სომხების სურფ-კარაპეტის ეკლესია იდგა. ეკლესიაში ხშირად დავდიოდით ქრისტიანულ დღესასწაულებზე. სწირავდა მღვდელი ინაშვილი.

პატარა ბიჭების ცხოვრება პროვინციულ ქალაქში დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. შესვენებაზე ვჭიდაობდით, ლახტის თამაშით ვიქანცებოდით. ჩვენი საუბრების თემა ტყეში გავარდნილი ყაჩაღების ცხოვრება იყო. სკოლის წინ სასეირნო პარკს „ბულვარს“ ეძახდნენ. მის შესასვლელთან მუდმივი ტრიბუნა მოეწყოთ. ერთხელ მიტინგზე ვინმე მოლოდინაშვილის ჯგუფის ყაჩაღებმა სიტყვა წარმოთქვეს, მთავრობასთან შერიგების სურვილი გამოთქვეს.

საბჭოთა ხელისუფლება ყაჩაღობასა და ღვთისმსახურებას თანაბარ ბოროტებად მიიჩნევდა. ეკლესიაში სასოებით მლოცველი ხალხი მას ტყეში გავარდნილ ყაჩაღებზე ნაკლებად არ აშინებდა. ცხადია, ქიზიყელი ბოლშევიკები სხვებს რას ჩამორჩებოდნენ და ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდნენ.

სკოლაში ჩემი მერხი ფანჯარასთან იდგა, საიდანაც სურფ-კარაპეტის ეკლესია კარგად მოჩანდა. და აი, ერთხელ დაუჯერებელი რამ დავინახე: ეკლესიის მაღალ და ციცაბო გუმბათზე კაცი მიძვრებოდა, რომელსაც ჯვარი უნდა ჩამოეგდო.

ჯვრის მოხერხვა ადვილი არ აღმოჩნდა და მას რამდენიმე დღე დასჭირდა. მთავრობას ამ საქმის შემსრულებელი ვერ ეპოვნა, ამიტომ ციხეში მჯდომ საშიშ დამნაშავეს მორიგებია და სანაცვლოდ მისთვის თავისუფლება აღუთქვამს. დაბალ და ჯმუხ ახალგაზრდას უკან დიდძალი ხალხი მისდევდა, ზოგი წყევლიდა, ზოგი კი ვაჟკაცობას უქებდა.

ჯვარი ზათქით მიწას დაენარცხა.

მალე ქართული ეკლესიაც დაკეტეს და ღვთის მსახურნი გარეთ გამოყარეს. სიღნაღის გალავნის პატარა სამლოცველოში მღვდელმა ინაშვილმა წირვა-ლოცვა განაგრძო. მაგრამ ხელისუფლება აქაც არ ასვენებდა.

ჩვენ სამლოცველოს მახლობლად ვცხოვრობდით. ერთ საღამოს ამბავი მოიტანეს — მღვდელი ნეფე-დედოფალს ჩუმად ჯვარსა სწერს, კომკავშირელებს კარის შემტვრევა და ჯვრისწერის ჩაშლა უნდათო. დავინტერესდით და ავირბინეთ. უცებ სამლოცველოს კარი ფართოდ გაიღო და ანაფორაგადახსნილი, თმაგაჩეჩილი მღვდელი გამოჩნდა. მან გათავხედებული ბრბო გარეკა. ხელისუფლებამ მაინც აიძულა მღვდელი ინაშვილი უარი ეთქვა ღვთისმსახურებაზე. სიღნაღი უეკლესიოდ დარჩა.

სიღნაღიდან სულ ორიოდე კილომეტრზე მდებარე ბოდბის მონასტერი გულნებას უფუჭებდა ქიზიყელ ბოლშევიკებს. ეკლესიის ერთ პატარა სენაკში, ტახტის მსგავსი ამაღლება გაეკეთებინათ წმინდა ნინოს მშვენიერი გამოსახულებით, ეს იყო წმინდანი ქალის საფლავი, რომელსაც მორწმუნენი დიდი მოწიწებით ნახულობდნენ.

ერთ ღრუბლიან დღეს ხელისუფლებამ სიღნაღისა და ახლო მდებარე სოფლების მოსახლეობას ბოდბის მონასტრის მინდორში მოუყარა თავი. ტრიბუნაზე სიღნაღის მაზრის ბოლშევიკების ხელმძღვანელი, ჩეკას უფროსი, ალმასკომის თავმჯდომარე და რამდენიმე ახალგაზრდა იდგნენ. ბოლშევიკების მეთაურმა გამოგვიცხადა: თქვენ გატყუებენ, ვითომ ქრისტე მართლა არსებობდა, თითქოს აქ, ბოდბეში წმინდა ნინო მარხია. ჩვენ გადავწყვიტეთ გავთხაროთ ეს საფლავი და ვნახოთ რა არის მასში ჩამარხული, ამით ყველაფერს ფარდა აეხდებაო.

ხალხი სდუმდა, ყველა სულგანაბული ისმენდა. უცბად რამდენიმე კაცი ტრიბუნაზე ავიდა და თან რაღაც აზიდა. ბოლშევიკების მეთაურმა აღფრთოვანებით წარმოთქვა: ხომ გეუბნებოდით, რომ გატყუებენ. აი [illegible] წმინდა ნინოო, და ხალხს თავზე აბლაბუდები და ნაგავი გადმოაყარა. ხალხი უმალ დაიშალა. ვერ ვიტყვი, მართლა ახადეს თუ არა საფლავი, ან დაწერილია თუ არა სადმე ქიზიყელი ურჯულოების ამ საშინელი მკრეხელობის შესახებ.

1924 წლის ზაფხული სოფ. ჭოტორში გავატარეთ, სადაც მამა ტოპოგრაფიულ სამუშაოებს ასრულებდა. ერთხელ, შუაღამისას მამას მოაკითხეს და წაიყვანეს, მახსოვს მისი უკანასკნელი შემოხედვა, დედას რაღაც გასამხნევებელი უთხრა და კარი გაიხურა. იგი ყოფილი მენშევიკი იყო, 1918-21 წლებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა. გასაბჭოების შემდეგ რამდენჯერმე დააპატიმრეს.

სიღნაღში დავბრუნდით. ქალაქი აფორიაქებული დაგვხვდა, მრავალი ნაცნობი დაეპატიმრებინათ, ამბობდნენ სოფლებშიც ბევრს იჭერენო. მალე პირველი დახვრეტების ამბავი შევიტყვეთ. უმოწყალოდ ანადგურებდნენ არა მარტო თავად-აზნაურთა შთამომავლებს, არამედ შეძლებულ გლეხებს, სოფლის მასწავლებლებს, ყველას, ვინც კი ადგილობრივ ბოლშევიკებს თვალში არ მოსდიოდათ.

მერე ხმა დაირხა: თბილისიდან განკარგულება მოსულა — შეწყვიტეთ კაცთ კვლაო!! მაგრამ, ეს ბრძანება დაუმალავთ, რადგან იმ ღამეს სიღნაღის ინტელიგენციისათვის ანგარიში უნდა გაესწორებინათ. მალე „ბულვარში“ დახვრეტილთა სია გამოაკრეს (ოცდაათამდე იყვნენ), ჩემი თვალით წავიკითხე: „ცისკარიშვილი იოსებ ფორეს ძე — ყოფილი თავადი“. ბოლშევიკების სამართალით ყოფილი თავადობა საკმარის საბაბად ითვლებოდა კაცის გასაწირად, თუმცა მამაჩემს წინაპრებში თუში მწყემსების გარდა სხვა არავინ ჰყოლია. დახვრეტილთა სიაში იყო ალექსანდრე ყაზბეგის ბიძის — დიმიტრის ვაჟი. ჩვენი სკოლის გამგის მოადგილე, ყველასათვის საყვარელი ადამიანი.

სერგო ორჯონიკიძემ ორიოდე კვირის შემდეგ განაცხადა, რომ ქართლსა და კახეთში არავითარ გამოსვლებს ადგილი არა ჰქონდაო. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია საქართველოს გამყიდველი ბოლშევიკური ლიდერებისათვის პატრიოტი ქართველების სისხლით მოერწყოთ კახეთის მიწა-წყალი.

შემდეგ როგორ გაგრძელდა ქიზიყელი ურჯულოების ცხოვრების გზა? ისინი ჯერ დაწინაურდნენ და თბილისში დაიდეს ბინა (სიღნაღელი ბოლშევიკების მეთაური ფილიპე მახარაძის მოადგილე გახდა ცაკ-ში), მაგრამ ავადსახსენებელ ოცდაჩვიდმეტში თითქმის ყველა გაანადგურეს. მათდამი წაყენებული ბრალდებები, ცხადია, აბსურდული იყო, ბედის განაჩენი — სრულიად სამართლიანი. ახლა ისინი რეაბილიტირებულნი არიან საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად. ქართველი ერის სიძულვილი კი მათ ხსოვნას არასოდეს ჩამოსცილდება.

**ელიზბარ ცისკარიშვილი,**
პროფესორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედის თვალით

## ანუ დინასტია სცენიდან არ ჩამოდის...



მედეა ჩახავა შვილიშვილებთან



კოტე მახარაძე სიძესთან, მხატვარ-მონუმენტალისტთან მურაზ მურვანიძესთან, ქალიშვილთან მაკა მახარაძესთან და შვილიშვილებთან სეირნობისას

პატარა, მშვენიერ ბაღში ვსხედვართ. ჩიტების ჭიკჭიკს ძლურტულს აყოლებს პატარა დათო თავაძე — ქალბატონ მედეას შვილთაშვილი, რომელიც დიდი ბებიის კალთაში ნებივრობს.

ახალგაზრდა, მოხდენილი მაკა მახარაძე, რომელსაც, ბებიას ვერც უწოდებ, შვილიშვილს გულმოდგინედ უხატავს კურდღელს.

— ამ ოჯახში მხოლოდ მე და დედამ არ ვიცით ხატვა და მაინცდამაინც ჩვენ გვთხოვს, კურდღელი დამიხატეთო, — მეუბნება იგი ღიმილით.

მართლაც ოჯახური იდილიაა...

ქალბატონი მედეა თემურ ჩხეიძეზე მესაუბრება:

— ვერ წარმოვიდგენდი თემური თუ რეჟისორი გახდებოდა. გვიმალავდა არჩევანს. ბავშვობაში ძალზე უყვარდა მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, ავადმყოფობა რომ არა, ალბათ, მსახიობი იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელად ასეთი გადაწყვეტილება მიიღო...

ვიცოდი, რომ მიხეილ თუმანიშვილთან დადიოდა, ვკითხე კიდეც მისას, — უბრალოდ, მეგობრები ვართო, მიპასუხა. თურმე ამეცადინებდა, მერე კი სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩააბარა.

ადრე ლექსებს წერდა. მეგონა ბაბუის — გიორგი ქუჩიშვილის გენებმა გაიღვიძესმეთქი მასში, მერე მისთვის მუსიკამ და ლიტერატურამ თეატრში მოიყარა თავი. თეატრი თემურისათვის ყველაფერია.

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, მეგობრებთან ერთად ზუგდიდის თეატრში წავიდა. იქიდან მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში გადმოიყვანეს. მერე რუსთაველის თეატრში...

მე ვითამაშე მის სპექტაკლში „გუშინდელნი", მაშინ ყველანი ერთად ვცხოვრობდით და მეც დიდ ოჯახს ვდიასახლისობდი. ქალის საქმეს რა გამოლევს, ამიტომ ხშირად მაგვიანდებოდა რეპეტიციებზე, იმ დღესაც დამაგვიანდა, თემური არ დამელოდა, რომ მივედი, კარი დაკეტილი დამხვდა, როგორც იქნა შევედი, დამინახა და მითხრა:

— ქალბატონო დედა, დღეს თქვენ არ მჭირდებით! — აი, ხეირი, საკუთარი შვილი ასე მომმართავს. დაბნეული და გაბუტული წამოვედი. თურმე, უარესი წინ მელოდა: სპექტაკლზე რომ მივედი, დაფაზე განცხადება დამხვდა: „მედეა ჩახავას დაგვიანებისთვის ორი თვით დააკლდეს კატეგორია.." ხელს ჩემი შვილი აწერდა. ისე გავცეცხლდი, ვიფიქრე, არ დაველაპარაკები-მეთქი. მაგრამ, რა მექნა, სადილი ხომ უნდა მომემზადებინა შვილისათვის. თანაც ვიცი მისი ხასიათი, საკუთარ დედასაც არ აპატიებს დაუდევრობას..

მეორე უარესი ისტორიაა. „ქალის ტვირთში" მარინა ჯანაშიასთან ერთად მეც ვიყავი დაკავებული. იმ ხანებში ვავადმყოფობდი და ამიტომ რეპეტიციებს შინ გავდიოდი. გენერალური რეპეტიცია ახლოვდებოდა, ვგრძნობდი, რომ თემური თავს იკავებდა, რაღაც არ მოსწონდა. ამიტომ ვუთხარი, ნუ მოგერიდება, თუ ჩემი პერსონაჟის აუცილებლობას ვერ ხედავ, უჩემოდ გაიარეთმეთქი რეპეტიციები. ვცდიო, მიპასუხა. ასეთ პასუხს არ ველოდი.

სამი დღე ვტიროდი. მსახიობისთვის ტრაგედიაა როლის დაკარგვა.

თეატრში ეს ამბავი ყველას უკვირდა. მეხუმრებოდნენ, მითანაგრძნობდნენ, რუსლან მიქაბერიძემ კი ფუნაგორია გვიძღვნა: „ჯანაშიასთან ჩახავა გამორჩნდა ცოტა მომხვილო, რა პრინციპული ყოფილხარ, როლიდან დედა მოხსნილო".

რამდენჯერ ვთხოვე თემურს: შვილო, რა იქნება შენს სპექტაკლში რომ მომცე როლი-მეთქი. არ მინდა თქვენ, მედეა ჩახავას შვილის სპექტაკლებში ათამაშებენო, შენ კი არ გჭირდებაო. არ უყვარს თემურის ე. წ. „საოჯახო სპექტაკლები", ასე რომ გავრცელდა ახლა ჩვენში.

როგორც წესი, თემური ჩემი თანდასწრებით არასდროს მაქებს, ტელეგადაცემაში კი თემური ისე მაქებდა, ისე თბილად მახსენებდა,, რომ ჯერ გავოგნდი, მერე კი ცრემლები ვერ შევიკავე...

თემურის ნათლია დიდი აკაკი ხორავა იყო. სახელიც მან დაარქვა, თავისი გარდაცვლილი შვილის პატივსაცემად. აკაკი ხორავა და მამაჩემი, პროფესორი ვასილ ჩახავა მეგობრები იყვნენ.

ჩვენ დიდი, თბილი ოჯახი გვქონდა. ყველაფერი ერთიერთპატივისცემაზე და სიყვარულზე იყო აგებული. ჩემი შვილები და შვილიშვილებიც ასე ცხოვრობენ.

თემური მუდამ უკმაყოფილოა თავისი მუშაობით. მუდამ უკმარისობის განცდა აქვს, ალბათ, ეს კარგიცაა ხელოვანისთვის, მაგრამ ტკბობაც ხომ უნდა ახლდეს ამ გრძნობას. ლენინგრადში მის მიერ დადგმულ შილერის „ვერაგობა და სიყვარულს" დიდი წარმატება ჰქონდა, ეს თვითონ ვიხილე პრემიერაზე, თემურს კი ამის შესახებ სიტყვას ვერ დააძრევინებ, თუმცა, ალბათ, ამაშიც მე მგავს. მითხოვენ, აღნიშნე შენი საიუბილეო თარიღიო, უარს ვამბობ, მგონია, ისეთი არაფერი გამიკეთებია, ხალხის შენიშვნად ღირდეს, მიკვირს, ასე ადვილად რომ აწყობენ პომპეზურ საღამოებს ფილარმონიის დიდ დარბაზში. მიხარია, რომ თემურის სპექტაკლში „ბედი-მდევარში" მაკამ იცეკვა.

მაკას გოგონა სოფო და მისი მეუღლე ნიკა თავაძე თეატრალურ ინსტიტუტს ამთავრებენ, მაკას მეორე ქალიშვილი ანუკა მურვანიძე ასტერდამში ვრიმიორის ხელოვნების კურსებს, მაკა ახლა ელდარ შენგელაიას ფილმის „ექსპრესინფორმაციის" გადაღებაში მონაწილეობს.

ჩემი ვაჟი — ივიკო მახარაძე მსახიობია და ტელევიზიაში მუშაობს. თემურის ქალიშვილი ეკა ჩხეიძე უკვე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია, მისი დაიკო თეონა წლეულს მუსიკალურ ათწლედს ამთავრებს, ხოლო უმცროსი მედეა, ახლახან მოსწავლეთა ფოლკლორის სასახლეში დადგმულ სპექტაკლ „სალაშურაში" მონაწილეობს. ასე, რომ ყველანი, ასე თუ ისე, თეატრს, ხელოვნებას ვემსახურებით, — მეუბნება ქალბატონი მედეა ჩახავა და თავისი სიძის — მურაზ მურვანიძის ნახატებს მიჩვენებს.

ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ქარგავს სახელოსნოს, მშვენიერ ბაღს, დგას ჩემს გვერდით სიყვარულით სავსე ოჯახის დიდი დედა და მის მომხიბვლელ, ეშხიან სახეს წლები ვერას აკლებენ...

ირინე კუკავა



რეჟისორი თემურ ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლად შეიძლება ცალკე წიგნის დაწერა, მაგრამ აქ ძალზე მოკლედ შევეხებით ძირითადად ორ საკითხს: რას ნიშნავს ახალგაზრდა დედისათვის შვილი და როგორ უნდა წარმართოს ურთიერთობა ქმართან ამ მისთვის ახლებურ სიტუაციაში.

# დედობა ფსიქოლოგის თვალით

## დედა და შვილი

თუმცა ქალის სამშობიარო გზები ბუნებამ ძალზე გონივრულად შექმნა, ზოგ შემთხვევაში იგი ბავშვისათვის მაინც გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა. გავიხსენოთ საკეისრო კვეთა, რომელიც კეთდება, როცა დედას არ შეუძლია ჩაურევლად გააჩინოს, ხოლო ექიმები უძლურნი არიან ბუნებრივი გზით გააჩენინონ ბავშვი.

ამიტომ ჩამორჩენილ ქვეყნებში მშობიარობისას მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობა. რა იწვევს მას? მშობიარობისას ბავშვის თავის დეფორმირება ან დაზიანება. განვითარებულ ქვეყნებში ექიმები ახერხებენ სიცოცხლე შეუნარჩუნონ ასეთ ბავშვს, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს ბავშვი ფსიქიურად სავსებით ნორმალური იქნება.

თავის დეფორმაცია სწორი მოვლის პირობებში საკმაოდ მალე სწორდება. სხვაგვარად გვაქვს საქმე სხვა სახის ტრავმის არსებობისას. დედა ამჩნევს ბავშვის ფსიქიკაში გარკვეულ გადახრას. პირველი სიმპტომი თავს იჩენს ბავშვის სკოლაში შესვლის შემდეგ.

ბავშვი აშკარად ჩამორჩება თავის თანატოლებს გონებრივი განვითარების მხრივ. ყველაზე სახიფათო ამ ასაკში ის არის, რომ დედა მკაცრად სჯის ბავშვს, აიძულებს საათობით იზუთხოს გაკვეთილი, უყვირის და ზოგჯერ სცემს კიდეც. ბავშვის ფსიქიკა კი ასეთ შემთხვევაში უარესად ზიანდება.

როგორ მოვიქცეთ? ბევრია დამოკიდებული მასწავლებლის და მშობლის შემოქმედებით კონტაქტზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვისაგან, რომელიც შოკში დაიბადა, არ შეიძლება მოვითხოვოთ დიდი წარმატებები სწავლაში. სამაგიეროდ ყურადღებით, მოთმინებით მუშაობა ასეთ ბავშვთან, ფსიქოლოგის კონსულტაცია, გონივრული დოზირებით ბავშვის ინტელექტის დატვირთვა უმრავლეს შემთხვევებში კარგ ნაყოფს იძლევა. ბავშვი ხშირად ეწევა და ზოგჯერ უსწრებს კიდეც თავის თანატოლებს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვი ფიზიკურად და ფსიქიკურადაც ჯანმრთელია.

## დედა

გარკვეული ცვლილებები ახალგაზრდა დედის ფსიქიკაშიც ხდება. სულ რამდენიმე საათში ორსული ქალი იქცევა მშობიარედ, მერე — დედად. ეს ცვლილებები ფსიქიკაზეც მოქმედებს. დგება დღე, როცა ახალგაზრდა დედა სამშობიაროდან შინ ბრუნდება. პირველი სიხარულის, მილოცვების, ხვევნა-კოცნის შემდეგ დგება საკმაოდ ძნელი სადაგი დღეები, რომლისთვისაც მისი ფსიქიკა სრულიად მოუმზადებელია. რა უყოს ამ მყვირალა არსებას, როგორ დაბანოს, როგორ აწოვოს, როგორ გადაახვიოს, ბინა ხელად ემგვანება სამრეცხაოს, რეცხვა-უთოობას ბოლო არ უჩანს. აბა სადღა სცალია ქმარზე ფიქრისთვის? ქმარი კი ხედავს, რომ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და იბუტება, ჩვეულებრივად ითხოვს თავის დროზე საჭმელს, სუფთა პერანგს, შარვლის დაუთოვებას. მერე და მერე სამსახურიდან მოსვლას აგვიანებს, შაბათ-კვირას ცდილობს სახლიდან გასხლტომას.

ქალმა მთელი დღე ჯარასავით რომ იტრიალოს, ყველაფერს მაინც ვერ ასწრებს. გასაკვირი არ არის, რომ ზოგი ახალგაზრდა ქალი ვერ უძლებს ასეთ ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვას, საშინელი დაღლილობა და აპათია ეუფლება, როგორ მოვიქცეთ. სამწუხაროდ, მზა რეცეპტს ვერ შემოგთავაზებთ, მხოლოდ ზოგად რჩევას მოგცემთ. ოჯახში, სადაც ბავშვი გაჩნდა, უნდა შეიქმნას ნორმალური ფსიქიკური ატმოსფერო, გონივრულად უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს დასვენება და ბავშვსა და სახლზე ზრუნვა. ამას მარტო ახალგაზრდა დედა ვერ გაწვდება. ბევრი რამეა დამოკიდებული ოჯახის სხვა წევრებზე, განსაკუთრებით კი — ქმარზე.

## ქმართან დამოკიდებულება

ცხადია, ახალგაზრდა მამების ფსიქიკაც განიცდის გარდაქმნას, რაც განპირობებულია სახლში საქმის მომატებით. მართალია, ქმრის დახმარება ხშირად გაწურული საფენების საბაზანოში გაფენით შემოიფარგლება, მაგრამ მიუჩვეველ და ხელგამოუვალ კაცს ეს საქმეც მალე ღლის და აღიზიანებს (არაფერს ვამბობთ ისეთ მამებზე, რომელთა ფუნქცია მხოლოდ ბავშვის შექმნით შემოიფარგლება. ეს ანომალიაა, ფსიქიკის დარღვევაა და სერიოზულ ანალიზს მოითხოვს). თუ გავითვალისწინებთ, რომ ცოლის დაღლა-გაღიზიანება ამ პერიოდისათვის აპოთეოზს აღწევს, ადვილად წარმოვიდგენთ, რომ აქ მწიფდება პრელუდია დრამისათვის, რომელიც ოჯახში შეიძლება გათამაშდეს.

როგორ უნდა მოიქცეს ახალგაზრდა დედა, რათა თავიდან აიცდინოს ეს დრამა?

ყოველმა ცოლმა კარგად უნდა იცოდეს თავისი ქმრის სუსტი და ძლიერი მხარეები, მისი ბავშვობის, აღზრდის თავისებურებები, ჩვევები, გემოვნება. საყვედურითა და სკანდალით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. ზოგი კაცი უნებისყოფოა, ზოგი ძლიერი ნებისყოფისა, ერთნი ხელსაც არ გაანძრევენ, რომ შინ რაიმე გააკეთონ, მეორენი კი იჩენენ ინიციატივას და აკეთებენ იმას, რაც სულაც არ არის საჭირო.

ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი რომ შეიქმნას, ახალგაზრდა მამა ბავშვის დაბადებისთანავე უნდა ჩაებას მასზე ზრუნვაში. ხშირად მიმართეთ ქმარს დახმარებისათვის, მიუთითეთ კონკრეტულად რა და როგორ გააკეთოს. ნუ მოითხოვთ თვითონ მიხვდეს, რა არის გასაკეთებელი. მას ხომ მამობის გამოცდილება არ გააჩნია. დედის მხარეზე გარკვეული უპირატესობაა, რადგან მას თანდაყოლილი აქვს დედობის ინსტინქტი. თუ მამას ბავშვს არც კი გააკარებთ იმის შიშით, რომ ის როგორც საჭიროა, ისე ვერ მოუვლის, არ გაგიკვირდეთ, რომ იგი მალე გაგიუცხოვდათ. ნერვებს მოუშლის ღამით ბავშვის ტირილი, უწესრიგობა ოთახში და თქვენი დაღლილი გარეგნობაც კი.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მისი სექსუალური მოთხოვნილება, რაც ბავშვის გაჩენის შემდეგ სულაც არ შესუსტებია, მაშინ როცა ახალგაზრდა დედის სექსუალური მოთხოვნა შვილის შეძენის პირველ თვეებში აღარ არის ისეთი, რაც მანამდე ჰქონდა, რადგან მისი ფსიქიკური დატვირთვა გაცილებით დიდია. ეცადეთ ამოიცნოთ მისი ნამდვილი და არა ამწუთიერი მოთხოვნილება. მეტად ჩააბით ბავშვზე ზრუნვაში. გააკეთებინეთ ჩანაწერები ალბომში „ჩვენი შვილი". ჩაიწეროს ფირზე პატარას „ვოკალური ვარჯიშები", დაიხმარეთ ბავშვის დაბანისას. მას შემდეგ, რაც დედა გახდით, გარკვეულწილად თითქოს საკუთარი ქმრის დედაც ხდებით, რადგან ეს მოზრდილი „ბავშვიც" მოითხოვს თქვენს ზრუნვას, მოთმინებას, ალერსს. კაცი, რომელიც დარწმუნდება, რომ ბავშვმა იგი არ განდევნა თქვენი გულიდან, უფრო და უფრო მეტად იზრუნებს თქვენზე, მოგიხსნით ფსიქიკურ დაძაბულობას, ნაწილობრივ თვითონვე შეიზღუდავს თავის მოთხოვნილებებს, თანდათან გახდება საიმედო დასაყრდენი თქვენთვის და თქვენი შვილისთვისაც. თუ ბავშვის დაბადებამდე მხოლოდ მოყვარული და მზრუნველი ცოლ-ქმარი იყავით, შვილის შეძენის შემდეგ უკვე ნამდვილი ოჯახი ხართ ერთი მიზნით და ინტერესით შეკრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პედიატრის მისაღები



## ბავშვი თითს წოვს, საშიშია თუ არა ეს?

ზოგი ფიქრობს, რომ თუ 4-5 წლის ბავშვი ჯერ კიდევ წოვს თითს, მას ყველაფერი რიგზე ვერ აქვს. ასეთი მშობლები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ, მოაშლევინონ ბავშვს მავნე ჩვევა. სინამდვილეში განგაშის ატეხვა სულაც არ არის საჭირო, ფსიქოლოგები და პედიატრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს ჩვევა სრულიად ბუნებრივია ბავშვისთვის. ხუთ წლამდე არ არის აუცილებელი მშობლები მუქარითა და სხვა საშუალებებით ცდილობდნენ ბავშვზე ზემოქმედების მოხდენას.

ბავშვი თავდაპირველად პირის საშუალებით აღიქვამს სამყაროს, სიცოცხლის დასაწყისშივე არჩევს გემრიელ და უგემურ საკვებს, ტემპერატურას და რაც მთავარია, პირის საშუალებით შეიცნობს ის საკუთარ თავს.

თითის წოვა არის თვითდაკმაყოფილების პირველი ცდა. გარემომცველი სამყარო პატარისთვის დამქანცველი, ხმაურიანი, ზოგჯერ საშიშია და თითის წოვაში ეძებს იგი სიმშვიდეს.

თუ თითის წოვის ჩვევა ბავშვს ხუთი წლის შემდეგაც გაჰყვა, მაშინ კი უნდა ჩაერიონ მშობლები და ფსიქოლოგებისა და პედიატრების დახმარებით მიიღონ შესაბამისი ზომები. თუ წლების განმავლობაში სპეციალისტების ჩარევამ ნაყოფი არ გამოიღო, მაშინ ბავშვი სერიოზულადაა გამოსაკვლევი, რადგან მის ორგანიზმში ან ფსიქიკაში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

პატარისთვის ისეთივე ძნელია მავნე ჩვევებისთვის თავის დანებება, როგორც დიდისთვის. გაიხსენეთ, რამდენჯერ გადაგიწყვეტიათ სიგარეტისათვის თავის დანებება და როგორ დაგირღვევიათ პირობა.

არის მთელი რიგი სიტუაციებისა, რომლის წყალობითაც ბავშვმა შეიძლება დაანებოს თავი თითის წოვას ან პირიქით, ახალდანებებულზე თავიდან დაიწყოს. ეს შემთხვევებია: პატარა დაიკოს ან ძამიკოს დაბადება, მშობლების დაშორება, პრობლემები საბავშვო ბაღში და ა. შ.

როგორ დავეხმაროთ პატარებს?

უპირველეს ყოვლისა ვეცადოთ გავიგოთ, რატომ წოვს ბავშვი თითს, ეს ძირითადად ისეთი ბავშვები არიან, რომლებსაც უძნელდებათ „დიდებად ყოფნა“ და ბავშვური ჩვევებით ცდილობენ პატარებად დარჩენას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავცინოთ ბავშვებს, ის უფრო ჩაიკეტება საკუთარ თავში, განმარტოვდება და ისე მოწოვს თითს.

ბავშვს უნდა შევაგნებინოთ, რომ ეს მავნე ჩვევა, მაგრამ არც მუქარით და არც სასჯელით ამის მიღწევა არ შეიძლება, რადგან ფსიქოლოგიური ტრავმა ხშირად ფიზიკურზე მძიმეა. ხოლო თუ ძალით გამოვალებინებთ ბავშვს პირიდან თითს, ის აუცილებლად მოძებნის შემცვლელს: თოჯინას, ბალიშის ყურს და ა. შ. ბავშვს უნდა ჩამოვართვათ პირობა, რომ ის ეცდება თითი არ მოწოვოს, პირობის დადებას უნდა დავასწროთ ოჯახის წევრები, რომლებიც მიულოცავენ პატარას დიდ მიღწევას. ზოგი მშობელი ათასგვარ სათამაშოს ჰპირდება ბავშვს და პატარაც სათამაშოს ჩაიგდებს ხელში თუ არა, ისევ შეუდგება „საქმიანობას“.

რა თქმა უნდა, ბავშვისთვის ძნელია ერთი ხელის დაკვრით დაანებოს თავი მავნე ჩვევას, ამიტომ მშობლებმა, ბავშვთან ერთად პირობის ჩამორთმევის პროცესში უნდა შეიმუშაონ მხოლოდ მათთვის გასაგები სიგნალები, და როცა პატარას ხელი კვლავ გაექცევა პირისკენ, თვალი ჩაუკრან, ან წინასწარ დათქმული სიმღერის ტაეპი იმღერონ. ყველაფერი მისაღებია ყვირილის ან სასჯელის გარდა.

მთავარი მაინც ის არის, რომ ბავშვი მუდმივად გრძნობდეს მშობლების მხარდაჭერას. განსაკუთრებით, როცა პირობის შესრულება უჭირს. დროთა განმავლობაში, ასეთი მხარდაჭერით გათამამებულს, მას აუცილებლად გაუჩნდება ახალი ინტერესები და თავს დაანებებს მავნე ჩვევას.

ესპანურიდან თარგმნა
**თეა გვასალიამ.**
„ჟურნალი „სერ პადრეს ოი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნადეჟდა გვაძაბია

ყოველი შემოქმედი მაყურებლის წინაშე თავისი ნამუშევრების საშუალ[illegible]ხნება. მათში მხატვრის სულიერი მრწამსი, ფანტაზია და შეგრძნებებია გადმოცემული... ყოველივე ამის თვალსაჩინო მაგალითია დამსახურებული მხატვრის ნადეჟდა გვაძაბიას შემოქმედება. შესანიშნავმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა თავისი შემოქმედებითი ენერგიის უდიდესი ნაწილი ქართული ხალიჩის კოლორიტისა და დეკორატიული ელერადობის აღორძინებას შეალია.

უყურებ მის ნამუშევრებს და გიკვირს, თუ როგორ ჩაწვდა მხატვარი ასე ღრმად ქართულ სულს, როგორ შეიგრძნო ასე ქართული კოლორიტი. იგი ხომ წარმოშობით პოლონელია და ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში ევროპული წარმოშობის შემოქმედი, ასე გულწრფელად შეყვარებული საქართველოზე, მის ბუნებაზე, ხალხზე, ხელოვნებაზე.

ძნელი აღმოჩნდა მისთვის ქართული ნაციონალური ფორმისა და ესთეტიკური პრობლემატიკის ძიების გზა. დაუღალავმა შრომამ და ენთუზიაზმმა შემოქმედი სასურველ შედეგამდე მიიყვანა. ნადეჟდა გვაძაბიას ნამუშევრებს საქართველოში და საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ. მისი გამოფენები მოეწყო პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ესპანეთისა და პოლონეთის სხვადასხვა ქალაქებში.

საშუალება მოგვეცა, უფრო ახლო გავცნობოდით ქალბატონ ნადეჟდას, გვესაუბრა მასთან.

# „თამარ დედოფლის დარბაზივითა“

**— როდის გაგიჩნდათ საქართველოსადმი, ქართული ხელოვნებისადმი სიყვარული?**

— ჯერ კიდევ სკოლის წლებში, როცა ვკითხულობდი ყაზბეგს, ილიას, ვაჟას, გამსახურდიას, თავად მაინც სულ ცოტა რამ ვიცოდი საქართველოზე. არ ვიცნობდი ფიროსმანის, გუდიაშვილის შემოქმედებას, ქართულ ხალხურ სიმღერებს, გალაკტიონის პოეზიას... ლვოვის გამოყენებითი ხელოვნების სამხატვრო ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებზე ავირჩიე კომპოზიცია „საქართველო“. სწავლის პერიოდში ვმუშაობდი „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე. გავეცანი ძველ ქართულ ფრესკებს, მომწონდა მათი ღრმა არსი, სიმშვიდე. ჩემი აზრით, ხელოვნებაში სიღრმე უნდა არსებობდეს და არა გარეგნული ეფექტები. სწორედ ეს დევს ქართულ სულში.

**— როდის ჩამობრძანდით საქართველოში და რომელი წლიდან მოღვაწეობთ სენაკის ხალიჩების კომბინატში?**

— 1955 წლიდან. თბილისის სამხატვრო აკადემიაში არ იყო ქსოვილების ფაკულტეტი. შემომთავაზეს, მონაწილეობა მიმეღო ქსოვილების კათედრის დაარსებაში. ამასთანავე მივიღე მიწვევა სენაკის ხალიჩების კომბინატიდან, რომელიც მაშინ მეოთხე იყო საბჭოთა კავშირში. ქოკარდული ხალიჩების წარმოება საქართველოში არ არსებობდა, მაგრამ იყო ულამაზესი ნაციონალური ფარდაგები. მე ქოკარდული ხალიჩებით დავინტერესდი.

**— მოგიხდათ თუ არა ორიგინალების შესწავლა?**

— რასაკვირველია, საქართველოს მუზეუმებში ვეცნობოდი ნიმუშებს.

**— XIX-XX საუკუნეების ქართული ხალიჩა ბევრს იძენს ფარდაგისაგან და თქვენს ნამუშევრებშიც იგრძნობა ეს გავლენა.**

— ფარდაგი პირველ რიგში თავისი დეკორატიულობით მომწონს. ის არ არის დატვირთული დეტალებით და ამიტომ მათი სიძველის მიუხედავად, თანამედროვე მხატვრული ენითაც მეტყველებს.



**— სად შეისწავლეთ ქოკარდული ხალიჩების ტექნოლოგია?**

— ჯერ ლვოვის ინსტიტუტში, შემდეგ კი კარლ-მაქს შტადტში.

**— ეძიებთ თუ არა კოლორიტს ძველ ნიმუშებში?**

— ქართული ქოკარდული ხალიჩები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დეკორითა და ტონალობით, მაგრამ ისინი ერთნაირია თავისი არსით. მათ ყოველთვის გამოარჩევს თვალი. მთავარი, რაც ასეთ ხალიჩებს უნდა ახასიათებდეთ, არის მუსიკალურობა და ჰარმონიულობა. ისინი დიდმნიშვნელოვანი უნდა იყვნენ, როგორც ყოველი ხელოვნების ნაწარმოები. ყველა ამ მომენტს მე ქართულ საგალობლებსა და პოეზიაში ვეძებ, ფერები სხვადასხვანაირი მაქვს. მთავარია, არ იკარგებოდეს ჰარმონია, არ იყოს სიყალბე, გარეგნული ბანალური ეფექტები. ორნამენტიც დამაჯერებელი და თავშეკავებული უნდა იყოს და ატარებდეს ღრმად ეროვნულ ხასიათს.

**— რა სურვილები და გეგმები გაქვთ?**

— მე არ მსურს ვიბრძოლო ჭეშმარიტებისთვის, არამედ მინდა ვეძიო იგი, მივილო ის ბუნებრივად, ყოველგვარი განგაშისა და აქსიომების გარეშე. მსურს, რომ ქართული ხალიჩა ჰარმონიულად შეერწყას საცხოვრებელსა თუ საზოგადოებრივ შენობათა ინტერიერს, სითბო და სიმყუდროვე შეიტანოს ადამიანებთან, შექმნას გარკვეული სულიერი მიკროკლიმატი. ვემზადები ახალი გამოფენებისთვის. გათვალისწინებულია ჩემი შემოქმედების შესახებ ფილმის გადაღება. ჩემი მიზანი ქართული ხელოვნების პოპულარიზაციაა.



**თამარ გეგეჭკორი,**
**ხელოვნებათმცოდნე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ცინარა ტერელაძე



# ვინ დადის მოთხუპნული?

მზე პირს იბანს,
იამ წვიმის
გადაივლო წვეთი,
არ გრცხვენია,
მოთხუპნული
რომ დადიხარ, ქეთი?
უსუფთაოდ ველარ ძლებენ
ჩვენი ეზოს ცხოველები,
თურმე გოჭიც აღრუტუნდა:
— გამირეცხეთ რკო, ტყემლები,
მივატოვებ ჭუჭყს და ტლაპოს,
სუფთა წყალი უნდა ვყლაპო!
მდინარეზე ჩავიდნენ
ბოჩოლა და ჩოჩორი,
დაიბანეს პირი და
დაივარცხნეს ქოჩორი.

— რა კარგია ბანაობა,
მურას უხმობს ჩვენი ბატი, —
თუ გინდა, რომ თეთრი გახდე,
ისკუპე და წყალში ჩახტი!
— აბურძგნული ნუ დადიხარ, —
შვილს არიგებს ფისო,
— თაგვებიც კი დაგცინებენ,
რად არ იბანს პირსო.

მზე პირს იბანს,
იამ წვიმის
გადაივლო წვეთი,
მოთხუპნული
ვინღა დადის? —
ისევ ჩვენი ქეთი.





# ორი კოვზი გადაყლაპა

დღეს ვინ აღარ ჩამოვიდა!
ყველა, ყველა გვილოცავს:
ყარყატი და ფარშევანგი,
ჟირაფი და სპილოცა;
ბეჰემოტიც ჩამოვიდა,
მოგვიხადა ქუდი
აქვე იყო ბაყაყების
საოპერო გუნდი.
დიდი კინოაპარატით
იყო იაგუარი,
გმირს მიართვა ორი ტორტი,
არ უთქვია უარი.

ფოსტის ჩანთით გაზეთები
ყველას მოსდო ბაჭიამ...
რადიოში განაცხადა
მაიმუნმა მანჭიამ:
„მოხდა მართლაც სასწაული,
თუმც დაადგა დიდი ჯაფა,
სასახელო გმირობაზე
წარვადგინეთ ჩვენი ჯაბა.
როგორც იქნა, როგორც იქნა,
საზიზღარი შვრიის ფაფა,
იმარჯვა და თავის ხელით...
ორი კოვზი გადაყლაპა."

მაია ბელუტაშვილი



ქეთევან კლიმიაშვილი-ნუცუბიძე

# სტუმარი



აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე მეუღლესთან ქეთევან კლიმიაშვილთან ერთად.

**სოფელი გლდანი. გულისაშვილის ქ. № 4. ამ წალკოტად ქცეულ ბაღში, 1942 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — 1969 წლამდე ცხოვრობდა ქართული ფილოსოფიური სკოლის ბერმუხა, აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. დღეს მისი მეუღლე ქალბატონი ქეთევან კლიმიაშვილი-ნუცუბიძე ჩვენი ჟურნალის სტუმარია.**

**— ქალბატონო ქეთევან, თქვენ საინტერესო წიგნი-მონოგრაფია უძღვენით არა მარტო თქვენთვის, არამედ მთელი ქართველი ერისთვის საოცნებელ პიროვნებას, ბატონ შალვა ნუცუბიძეს. ამ წიგნის წაკითხვა ყველამ როდი მოასწრო, იქნებ კიდევ დაგრჩათ რაიმე სათქმელი?**

— ძალიან ბევრი. მზად მაქვს მესამე გამოცემა. ჩვენში გამეფებულმა უხეირო ცენზურამ, გამოშიგნული, უაზროდ შეკრეჭილი დასტამბა იგი. ახალ გამოცემას დაემატება შალვას ქუთაისის პერიოდი, შეივსება გრიგოლ რობაქიძესთან ურთიერთობის ამსახველი ამბებით, შეიკვრება სახელოვანი ადამიანების მოგონებებით. განსაკუთრებით საინტერესო იქნება დღევანდელი მკითხველისათვის შალვა ნუცუბიძე-ფედერალისტი. ეს ცალკე თავი იქნება და აისახება მის მიერ გაწეული მუშაობა იმ სამი წლის მანძილზე, როცა საქართველომ პირველი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ოსეთის ოლქი უნდა გაუქმდეს, კომუნისტების მოგონილიაო, დამოუკიდებლობას რომ მომასწრო, ჩემი ფეხით ჩამოვუვლიდი სრულიად საქართველოს და გამოკითხვასაც თავად ჩავატარებდიო, ამბობდა ხოლმე. ამაზეც მინდა ვთქვა ცოტა რამ.

**— საინტერესოა, ცოცხალი რომ ყოფილიყო დღევანდელ მოვლენებს როგორ შეაფასებდა?**

— ყველაფერში პირველი იქნებოდა. რა ასაკშიც უნდა ყოფილიყო, ეროვნული დროშით ხელში, წინ გაუძღვებოდა ახალგაზრდებს. საქართველოს საკეთილდღეოდ არაფერს ითაკილებდა. ბოლომდე სწამდა საქართველოს დამოუკიდებლობის. მისი პროგნოზით კომუნისტურ სისტემას საფანელი 50 წელზე მეტხანს არ უნდა ეყოფნოდა. 70 წელი კი იარსება. განა რამდენხანს შეიძლება ადამიანი ცირკში თავდაყირა იდგესო, ასეთი შედარება მოჰყავდა.

**— რისთვის დააპატიმრეს, იმისთვის ხომ არა, აღმოსავლური რენესანსის თეორია რომ წამოაყენა?**

— არა ბატონო, მიზეზი უფრო ღრმა იყო. მან შესანიშნავად იცოდა: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური, ბერძნული „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა რუსულ ენაზე უკვე დაწყებული ჰქონდა. პეტერბურგში დაამთავრა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. დიდი ნაცნობ-მეგობრების წრე ჰყავდა გერმანიაში. როცა მისი შრომები ლაიფციგში და ბერლინში დაისტამბა, გერმანელმა ერმა გერმანული ფილოსოფიის ამომავალ ვარსკვლავად აღიარა, იმასაც კი ასაბუთებდნენ, რომ მათზე უკეთ ფლობდა გერმანულ ენას. თვეობით ცხოვრობდა გერმანიის ქალაქ ფრონაუში. ასეთი კაცი ჰპირდებოდა მაშინდელ მთავრობას. ბერიამ იხმო და საგანგებო დავალება შესთავაზა. არ დაეთანხმდა, ფაშისტად მონათლეს და 1938 წელს დააპატიმრეს, არ უდარდია. ჩემი ყველა მეგობარი და თანამოაზრე ციხეშია და მე კიდეც მესირცხვებოდა ქუჩაში გამოჩენაო. ერთმა მეგობარმა ასეთი რამ უთხრა, შენს ცხოვრებას ერთი სილამაზე აკლდა — ციხე და ისიც გერგოო. ერთი წელი გაატარა პატიმრობაში, სამი წელი მოსკოვში იცხოვრა, არ ჰქონდა თბილისში ჩამოსვლის უფლება. სტალინმა იხსნა პატიმრობიდან. საკანში ინკოგნიტოდ შემოდიოდა პიროვნება და „ვეფხისტყაოსნის" რუსულად თარგმნილ გვერდებს მიჰქონდა, მერე გაირკვა, თურმე სტალინისათვის. სტალინი აღფრთოვანებულა თაოჯახით და გაუთავისუფლებინა. ის ღამე ერთად გაუტარებიათ. ბევრი უსაუბრიათ, ალტაცებაში მოსულა შალვას განსწავლულობით. პოლიტიკა ბინძური რამაა, ასეთი მეცნიერი რად დამგრი ამაოდო. უსაყვედურია და სახლამდე მიუცილებია. ნაპატიმრალი კაცი რაიმე ხიფათს არ გადაეყაროდა, თან საწოვაგეც უხვად უბოძებია. სახლში არაფერი გვქონებო. ხელქვეითებისათვის დავალება მიეცია, ეს კაცი პარტიაში ეთუოდ შეიყვანეთ. ომმა იხსნა, შალვასთვის ვის ეცალა, პარტიაში არ შესულა.

ჰო, თქვენ რომ რენესანსი ახსენეთ, ეს თეორია მან ციხეში შექმნა. საფუძველი ასეთი იყო, — რომ დასავლეთის რენესანსს წინ უსწრებდა აღმოსავლური რენესანსი, ე. წ. ქართული, რომელშიც XII საუკუნის საქართველოს გულისხმობდა, შოთა რუსთაველს, იოანე პეტრიწსა და პეტრე იბერს. ასე ჩაუყარა საფუძველი ქართულ არეოპაგულ მეცნიერებას. ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, აღიარებდნენ მისი ენების უბადლო ცოდნას, ხოტბ მისი უბრალოება და თავმდაბლობაც. საოცარი ტრიბუნი, ორატორი და მჭევრმეტყველი გახლდათ, ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ დაბადებული. როგორც წესი, ლექციის, თუ სამეცნიერო გამოსვლის წინასწარ არ წერდა.

**— ხომ გაიცანით, მგონი თქვენ მისი სტუდენტი იყავით?**

— მამაჩემის მეგობარი იყო. მე ოცდაექვსი წლის, ქმარგაშორებული ორშვილიანი ვიყავი მაშინ, ის 55 წლის ქვრივი, ერთშვილიანი, ორი შვილიშვილის ბაბუა. ნოველებს ვწერდი და რჩევის საკითხავად ოჯახში მივადექი უცერემონიოდ. შემაგვიანდა, არ საათზე უკვე დასაძინებლად წვებოდა, ამერიკის პრეზიდენტი რომ ხლებოდა, არ მიიღებდა. რატომ ასე გვიანო, მკითხა, გიდარაჯებდით მეთქი, დავიმორცხვე, ნაწერები მომიწონა. ალბათ ესეც ბედისწერა იყო. პატიმრობიდან ახლადდაბრუნებული იყო. მის ირგვლივ მყოფი ბევრი გასათხოვარი ქალი მის ცოლობაზე ოცნებობდა. ასე გავხდი მისი ცოლი 1942 წელს. განუმეორებელი პიროვნება იყო. ძალიან ბუნებრივად მისი სული გამაცნო და ჩემს თავშიც ჩამახედა. ჩემი „მაჯლაბის" გარჩევას კი არა, ნებისმიერ საღისერტაციო თემას ათ-ხუთმეტ წუთში მიმოიხილავდა და სათანადო ამომწურავ პასუხსაც იქვე გასცემდა დისერტანტს, ფეხზე იდგა, არც კი ჩამოჯდებოდა.

**— უური მომიკრავს, არ ვიცი ჭორი იყო თუ სინამდვილე, რომ ბატონი შალვა კომერციული ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული.**

— ნამდვილად იყო. ამისათვის მან დააარსა სპეციალური კურსები. ინგლისში ლორდები ჭერ კომერციაში ცდიან ბედსო, იტყოდა. ჩვენი უნივერსიტეტის სტამბა შალვას დაარსებულია. კარგად იცნობდა ევროპულ ყოფას. ჩვენგან გაიტანა ხალიჩები და შემოიტანა სასტამბო დანადგარები, ქაღალდი... მარტო ბედი მტკივა, მისი მრავალმხრივი ნიჭი ჩვენმა მთავრობამ სათანადოდ ვერც პოლიტიკაში, ვერც კომერციაში რომ ვერ გამოიყენა. დაბადებული იყო სახელმწიფო მოღვაწედ. მთავრობა არასოდეს გვავიწროვებდა. ცოდავდნენ რედაქტორები, გამომცემლები, ფილოსოფიის ინსტიტუტის მესვეურები. არავითარი ორდენი და მედალი არ ჰქონია, 1962 წელს პედაგოგიკის ინსტიტუტმა მიანიჭა გოგებაშვილის სახელობის მედალი. იუბილეებს ვერ იტანდა, საიუბილეო სავარძლებში წამოსკუპულებს ვერ ვეგუებითო. 80 წლის იუბილეზე ძლივს-ძლივობით დაიყოლიეს, ვერ მოესწრო. იქ წასაკითხი სიტყვები დაკრძალვაზე წარმოსთქვეს.

**— როგორი იყო ოჯახში, შვილებთან?**

— დიდი ოჯახი გვქონდა. 5 შვილი, ორიც მისი შვილიშვილი, ორი ჩემი იყო და სამი საერთო. უფროსი შვილი ოთხი წლისა გარდაგვეცვალა, ეზოში ასაფლავია. ეს სამოსახლო რომ მოგვიზომეს, ნაეკლესიარი ყოფილა, მოგვიანებით გავიგეთ. ალბათ ამიტომ თუ დაგვსაჯა განგებამ.

ბავშვებს ისე ექცეოდა, როგორც თანატოლებს. ჩემს შვილებსაც დიდი ამაგი დასდო, ყველას უპატრონა და დააყენა გზაზე. ლაღად და უზრუნველად უნდა იცხოვრონ პატარებმა, სიძნელეები მერეც ეყოფათო, იტყოდა. ჯიბეები სულ გამოტენილი ჰქონდა ხილით, სიგარეტით, ნუგბარით, ზეპირად იცოდა ამ ახლო-მახლოს ვის რა უყვარდა. მის სახელს ფიცულობდნენ მეზობლები. ყველას შემწე და დამხმარე იყო. მხიბლავდა მისი ასეთი უბრალოება. ზოგჯერ უყვარდა განმარტოება. მუშაობდა დილით, ვიდრე ხუთ გვერდს არ დაწერდა, ხმას არავის გაგვცემდა. მერე მის საოცნებო ბაღს მიაშურებდა. შრომაში ჩვენც ვუავდით ჩაბმული.

**— ჩემის აზრით, ქალბატონო ქეთევან, თქვენნაირი ერთგული და შეწირული მეუღლე ბევრ ქართველ მეცნიერს არ ჰყოლია.**

— გმადლობთ ასეთი ქათინაურისთვის. შალვა ხშირად იკვეხნიდა, ჩემმა მეუღლემ ცხრა ხელობა იცისო. მე მისი ოჯახის დიასახლისი ვიყავი, მანქანის საჭეს ვუჯექი, ვკეროვდი, სამ ენაზე ვბეჭდავდი მანქანაზე, ბაზარში დავდიოდი, იღლიაში მუდამ ნერგები მქონდა ამოჩრილი, ვიყავი წიგნების გადამწერი, კორექტორი და სტამბაში წალებწამოღებაც მე მეკისრა. რვატომეული სულ ჩემი ხელითაა გადაწერილი. კოლმეურნეობაშიც შევედი. ეს ნაკვეთი სამჯერ წაგვართვეს და დაგვიბრუნეს. შალვას ამ ბაღით ედგა სული. ერთხელ ბატონმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა ხელები მაგიდაზე დამაწყობინა, იმდენ რამეს ყვებიან შენზე, ნახევარი არა მჯერაო. როცა დამხედა და ჩემი დაკოჟრილი ხელები ნახა, ჩაეღიმა და მერე „გამანთავისუფლა". ასეთი კაცის მეუღლეობა ადვილი როდი იყო, გაყოლისთანავე უარი ვთქვი ყოველგვარ პირადულზე, თითქმის მზად მქონდა საკანდიდატო დისერტაცია და ძლივს მოვიცალე მის დასაცავად (პროფესიით ბიოლოგი ვარ), სადოქტოროს აღარ მივბრუნებივარ. ის ჩემზე ორჯერ უფროსი იყო ასაკით, მაგრამ ჩემზე ათჯერ ახალგაზრდა სულით.

**— ვისთან მეგობრობდა?**

— მისი განუყრელი მეგობარი იყო ანდრია რაზმაძე. აფასებდა და დიდ პატივს სცემდა კონსტანტინე გამსახურდიას. პირველი, ვინც მოსკოვში ციხიდან გამოსული ინახულა, ბატონი კონსტანტინე გახლდათ. ეს კარალიოკის ხე მისი დარგულია, გარდა სულიერი მეგობრობისა მათ აკავშირებდათ ერთი საერთო ჰობი — ნადირობა. ჩვენთან ყველას სიამოვნებდა მოსვლა, ბაღი იყო, შალვა იყო და იმიტომ. მოდიოდნენ: ივანე ბერიტაშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ლევან გოკიელი, იოსებ გრიშაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ყველა მეზობლის და ახლობლისათვის ჩვენი სახლის კარი ღია იყო. შალვას ადამიანი უყვარდა, მისი ყოველგვარი სისუსტეების მიუხედავად და ეს გრძნობა მე ჩამინერგა.

**— იმ ცნობილ შევიწროებაზე რას გვეტყოდით?**

— შალვა რომ თავიდან მოეცილებინათ, უნივერსიტეტის რექტორს ცეკას მაშინდელმა მდივანმა ჰკუა დაარიგა: დასავლეთ ევროპის ენების კათედრა სულაც გააუქმეო. ისიც ასე მოიქცა და მერე ლექციებს აღარ აკითხებდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით. იმ წყეულ 1953 წელს, საქართველოს აკადემიის შემადგენლობიდანაც გამოიყვანეს, როგორც გერმანიის ფაშიზმის აგენტი. დავრჩით სულმთლად უსახსროდ და ულუკმაპუროდ. არც ის ვიცოდით, თურმე პენსია გვერგებოდა. კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, ამ დალოცვილმა მიწამ გამოგვკვება. მოგვყავდა ხილი, ბოსტნეული, ვყიდდით და ამით ვირჩენდით თავს, არანაირი შრომა არ გვეთაკილებოდა. გავურიგდებოდით მყიდველს, მოდიოდნენ და თავად კრეფდნენ. შვიდი წლის შემდეგ ისევ აღადგინეს აკადემიაში, მაგრამ გაუთავებელმა დისკუსიებმა, უთანაბრო ბრძოლმა ჯანმრთელობა საგრძნობლად შეუქმნა.

**— რა აზრის ბრძანდებით სარწმუნოებაზე?**

— დროულია ქართველი ერის სარწმუნოებისაკენ შემობრუნება. რაც ჩვენ გვჭირდა სარწმუნოების მხრივ, უპრეცედენტო მოვლენაა. მე და შალვა დიდი მორწმუნეები ვიყავით. ჩვენი ოჯახის განუყრელი მეგობარი იყო კალისტრატე ცინცაძე, შვილის გარდაცვალების მწუხარება მისი შემწეობით დავძლიეთ. ფსალმუნების კითხვამ გადაგვარჩინა. ეს ვარდი, ასე რომ შევხარით მთელი ოჯახი, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უძღვნა შალვას, მისი ასი წლის იუბილის თარიღს, 1988 წელს დაგვირგო.

სიკვდილის ჟამს, სარეცელთან გვიხმო ყველანი და გაგვაფრთხილა, იცოდეთ, ამ ეზოდან ჩემი ცხედარი არ გაიტანოთო, მაგრამ დამკრძალავ კომისიას ვერ გავუმკლავდი, ვერც შვილებს გავუტეხე ხათრი და ეს ბოლო თხოვნა-ანდერძი ერთადერთხელ ვერ შევუსრულე. უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს, რისთვისაც უნდა მაპატიოს მისმა სპეტაკმა სულმა.

ესაუბრა **ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ბევრი ქვეყანა მომივლია, მაგრამ ვერ ვიტყვი, ყველა იმ ქვეყნის ყოფას ვიცნობ-მეთქი. ეს უფრო ტურისტულ მოგზაურობაზე ითქმის. ტურისტულ მოგზაურობას აქვს დადებითი მხარე — ეცნობი ამა თუ იმ ქვეყნის არქიტექტურას, ისტორიას, მაგრამ შთაბეჭდილებებს თავს რომ მოუყრი, ხვდები, რა ცოტა რამ იცი იმ ხალხის ცხოვრების შესახებ, სადაც ათი დღე თუ ორი კვირა გაგიტარებია. აღმოჩნდება, რომ ცოტა გივლია ფეხით, ცხოვრება მხოლოდ ავტობუსის ფანჯრიდან დაგინახავს, ხალხში არ გარეულხარ, რომ კარგად შეგეთვალიერებინა ადამიანები.

# ჩვენ და „ისინი"

ქალი შინაც მომხიბვლელი უნდა იყოს.
გიამბობთ, როგორ ახერხებენ ამას გერმანელი ქალები

ცხადია, ზოგადი შთაბეჭდილება ადამიანებზე ტურისტული მოგზაურობის დროსაც გექმნება, მაგალითად, ყოველთვის დავინტერესებულვარ, როგორ აცვია მახას, როგორ იქცევიან ქუჩაში, მაღაზიაში თუ სხვაგან და თითქმის ყველგან დამრჩენია შთაბეჭდილება, რომ ქუჩაში ხადად აცვიათ. თვალში არ მომხვედრია გამოპრანჭული ქალი ან მამაკაცი. ამ დროს გამხსენებია, რომ ჩვენ თითქმის ერთნაირად ჩაცმული დავდივართ ქუჩაშიც, სამსახურშიც, ბაზარშიც და თეატრშიც. განა იშვიათად შეგხვედრიათ ძლისით, მზისით, ბრჭყვიალა ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი, ხელში სანოვაგის ჩანთა რომ უჭირავს და მაღაზიისკენ მიიჩქარის? არის მეორე უკიდურესობაც: თბილისის ქუჩებისათვის ასევე ტიპიურია პალტომოხურული ქალი, რომელსაც ცალი ხელით პალტოს კალთა უჭირავს და სახეზე საქმიანი იერი აძევს. ხშირად მინატრია, ნეტა ამ ქალს შორიდან შეახედა თავის თავისათვის, რა არაესთეტიურად გამოიყურება ქუჩაში-მეთქი. „ისინი" ქუჩაში ასე არ გამოდიან.

როცა ჩვენი ქალების ჩაცმულობაზე ან ყოფაზე ჩამოვარდება სიტყვა, იმწამსვე ჩნდება კონტრარგუმენტი, სად „იმათი" პირობები და სად ჩვენიო, გეთანხმებით, პირობები „იმათ" გაცილებით უკეთესი აქვთ, უფრო სწორად, ჩვენ არ გვაქვს არანაირი პირობები, მაგრამ ჩვენს პირობებშიც შეიძლება ქალმა ისწავლოს, სად რა ჩაიცვას და სად როგორ მოიქცეს.

შეიძლება ითქვას, რომ კარგად ვიცნობ გერმანელი ქალების ყოფას და საუბარი განყენებული რომ არ გამომივიდეს, ერთ კონკრეტულ ქალზე გესაუბრებით. ამ ქალს აქვს პროფესია, მაგრამ დიასახლისობას ამჯობინებს. ოღონდ შესანიშნავად ახერხებს შეინარჩუნოს მიმზიდველობა, ჰქონდეს ზეგავლენა ოჯახის წევრებზე, აიძულოს ისინი, პატივი სცენ მის შრომას. შრომა კი, სხვათა შორის, არც ერთ ჩვენთაგანზე ნაკლები არ უწევს, პირიქით, მე თუ მკითხავთ, იგი ჩვენს დიასახლისებზე გაცილებით გამრჯეა და ენერგიული. დგება ადრე, მეუღლეს და შვილებს ისტუმრებს, სახლსალაგებს, სადილს ამზადებს, რეცხავს, ერთი სიტყვით, მისი რეჟიმი არაფრით განსხვავდება ჩვენი ქალების დღის რეჟიმისაგან. აქვე უნდა დავძინო, რომ გერმანელი ქალები სისუფთავის და წესრიგის დიდი მოყვარულები არიან. მათ სახლში ვერ ნახავთ ჭუჭყიან კუთხე-კუნჭულს და სხვათა შორის, მათთვის უცხოა ისეთი ცნება, როგორიცაა „გენერალური დასუფთავება". მათ სახლებში რიგ-რიგობით, ყოველდღე იწმინდება ფანჯრები, იატაკი, სამზარეულო, აბაზანა. გერმანიაში სახლებში რომც არ შეიხედოთ, უეჭველად მოგხვდებათ თვალში გაკრიალებული ფანჯრები და აივანზე, ან ფანჯარაზე ყვავილები. იქ არავინ ხერგავს აივნებს ათასგვარი ხარახურით, ჩვენ რომ ხელს მოვინაცვლებთ, გადასაყრელად არ ვიმეტებთ და აივნებზე ვინახავთ. იქ აივანი ერთი ცალკე სამყაროა, გახსოვთ ალბათ, ვისაც „ბურდას" ნომრები გითვალიერებიათ, რა მონდომებით გვასწავლიდნენ, როგორ უნდა მოგვეწყო აივნებზე პატარა „სამოთხე". მაგრამ ჩვენ ხომ სხვისგან არაფერს ვსწავლობთ, ჩვენ მხოლოდ შევნატრით მათ და გვავიწყდება, რომ გაურჯელად არაფერი კეთდება. თუნდაც ჩვენი სადარბაზოები და ეზოები ავიღოთ. იქ საერთოდ არ იციან რა არის სადარბაზოს დამლაგებელი, მითუმეტეს „სახლმმართველობისგან დანიშნული", რომელსაც ათი სადარბაზო აბარია, ნახევარ ხელფასს თვითონ იღებს, ნახევარს სახლმმართველობის უფროსი და სადარბაზოები კი დაულაგებელი რჩება. გერმანელ ქალებს მორიგეობა აქვთ დაწესებული და თავში არავის მოუვა, თავის სამორიგეო დღეს არ დაასუფთაოს სადარბაზო. ერთიცაა, იქ ჩვენსავით არ ანაგვიანებენ სიდარბაზოებს. წარმოუდგენელია, ვინმემ სადარბაზოში დაფურთხოს რაიმე, ან ნამწვი დააგდოს სადმე. ვერავინ დამარწმუნებს, ასეთი ჩვევების გამომუშავებასაც განსაკუთრებული პირობები სჭირდებოდეს. ესაა ჩვენი უკულტურობა, სიბინძურე, გულგრილობა, არაფერი რომ არ გვეხამუშება, არაფერი არ გვაღელვებს და არ გვგვრის ზიზღს.

მაგრამ მოდით, ისევ იმ ჩემს მეგობარ ქალს დავუბრუნდეთ. ზემოთ ვთქვით, ოჯახის წევრებს აიძულებს, პატივი სცენ მის შრომას-მეთქი. არა, კი არ აიძულებს, შვილებს ისე ზრდის, რომ მათ იციან დედის შრომის ფასი.

ქმარი ხომ სხვა გერმანელი დედისაგან ასევეა გაზრდილი და პრობლემები არც მასთან ექმნება. ქმარ-შვილი ზედმეტ საზრუნავს არ უჩენს დიასახლისს, ცდილობენ მაქსიმალურად დაიცვან სისუფთავე, დროზე ისაუზმონ, ისადილონ და ივახშმონ და ქალი მთელი დღე არ გამოკეტონ სამზარეულოში. ის კი, თავის მხრივ, ნასადილევს მიალაგებს, დაასუფთავებს სამზარეულოს, გაამზადებს მსუბუქ ვახშამს და გამოიხურავს სამზარეულოს კარებს, დანარჩენი დრო მისი კუთვნილებაა, შეუძლია გაერთოს, წავიდეს სადმე, ტელევიზორს უყუროს ან, თუნდაც, ადრე დაწვეს და დაისვენოს.

ერთი რამ აქვს ამ ქალს კიდევ მისაბაძი და შესაშური. ჩვენში, ქალების დიდი უმრავლესობა, თუ არ მუშაობს და სახლში ზის, თითქმის არ აქცევს ყურადღებას თავის გარეგნობას, შეუძლია დილით ღამის პერანგზე შემოიცვას ხალათი და ისე დაადამოს, რომ ის ხალათი არც გამოიცვალოს. ერთხელ კიდევ გავბედავ და ვიტყვი, რომ არც ასეთი დაუდევრობა შეიძლება გავამართლოთ ჩვენი ცუდი ცხოვრებისეული პირობებით. ყველა ქალს შეუძლია გამონახოს საკუთარი თავისთვის დრო, წესად აქციოს, ჯერ თვითონ მოწესრიგდეს და მერე დაიწყოს საქმიანობა, საბედნიეროდ, ასეთი ქალებიც ბევრი გვყავს. ჩვენში მატერიალურად უზრუნველყოფილ ქალებსაც კი არა აქვთ ისეთი საყოფაცხოვრებო პირობები, რომ მაქსიმალურად გაიიოლონ საოჯახო საქმე, მაგრამ ქართველ ქალს აქვს ერთი საოცარი თვისება: შეუძლია მთელი დღე ფეხზე იდგეს, უამრავი საქმე გააკეთოს და საღამოს თუ სადმეა წასასვლელი, ერთ საათში მოასწროს თავის გალამაზებაც და მოხდენილად ჩაცმაც. აი, ასეთ ელვისებურ მეტამორფოზას კი უცხოელი ქალები ნამდვილად ვერ მოახერხებენ. ჩვენც ვცადოთ, ყველამ აღმოვაჩინოთ ჩვენს თავში ქართველი ქალის ეს უნიკალური თვისება და მომხიბლავები ვიყოთ შინ და გარეთ.

დალი ფანჯიკიძე

ცხოვრება უკიდურესად გართულდა. ყველას როდი შეუძლია ფეხი აუწყოს ეპოქის თავბრუდამხვევ რიტმს. ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პრობლემები ერთად დაგვატყდა თავზე და შედეგიც სახეზეა: იმატა ნერვიულმა სტრესებმა, დეპრესიებმა, ხალხის ნერვები უკიდურესობამდეა დაჭიმული, ავტობუსში ვინმეს შემთხვევით გვერდი რომ გაჰკრა, ისე გამოგლანძღავს, გაჩენის დღეს გაწყევლინებს. თქვენ როგორ გაქვთ ნერვები? თავადაც არ იცით? მაშინ შეავსეთ ეს ტესტი და გაიგებთ გელით თუ არა ახლო მომავალში ნერვული სტრესი.

**ტესტი**



# გელით თუ არა ნერვული სტრესი?

**1. გიჭირთ თუ არა მიმართოთ ვინმეს დახმარებაზე თხოვნით?**

დიახ, ყოველთვის (3). ძალიან ხშირად (2). ხანდახან (0). ძალიან იშვიათად (0). არასოდეს (0).

**2. ფიქრობთ თუ არა თქვენს პრობლემებზე თავისუფალ დროს?**

ძალიან ხშირად (5). ხშირად (4), ხანდახან (2), იშვიათად (0), არასოდეს (0).

**3. როცა ხედავთ, რომ ადამიანს რაიმე არ გამოსდის, გიჩნდებათ თუ არა სურვილი მის მაგივრად, გააკეთოთ ეს საქმე?**

დიახ, ყოველთვის (5), ძალიან ხშირად (4), ხანდახან (2), ძალიან იშვიათად (0), არასოდეს (0).

**4. დიდი ხნის მანძილზე განიცდით წარუმატებლობას?**

დიახ, ყოველთვის (5), ხშირად (4), ხანდახან (2), ძალიან იშვიათად (0), არასოდეს (0).

**5. რამდენ დროს უთმობთ ხალამოობით საკუთარ თავს?.**

სამ საათზე მეტს (0), ორ-სამ საათს (0), ერთ-ორ საათს (0), საათზე ნაკლებს (2), არც ერთ წუთს (4).

**6. აწყვეტინებთ თუ არა მოსაუბრეს, თუ ის რაღაცას გიხსნით და ზედმეტი წვრილმანებით გაბეზრებთ თავს?**

დიახ, ყოველთვის (4), ხშირად (3), გააჩნია სიტუაციას (2), იშვიათად (1), არა (0).

**7. თქვენზე ამბობენ, რომ მუდამ ჩქარობთ...**

დიახ, ასეა (5), ხშირად ვჩქარობ ხოლმე (4), ვჩქარობ, როგორც ყველა, ხანდახან (1), ვჩქარობ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (0), არასდროს არ ვჩქარობ (0).

**8. გიჭირთ თუ არა უარის თქმა გემრიელ კერძზე?**

დიახ, ყოველთვის (3), ხშირად (2), ხანდახან (0), იშვიათად (0), არასდროს (0).

**9. გიწევთ თუ არა რამდენიმე საქმის გაკეთება ერთდროულად?**

დიახ, ყოველთვის (5), ხშირად (4), ხანდახან (3), იშვიათად (1), არასოდეს (0).

**10. ხდება თუ არა, რომ საუბრისას თქვენი აზრები სულ სხვაგან დაფრინავენ?**

ძალიან ხშირად (5), ხშირად (4), ხდება ხოლმე (3), ძალიან იშვიათად (0), არასოდეს (0).

**11. გეჩვენებათ თუ არა ხანდახან, რომ ხალხი მოსაწყენ და უაზრო თემებზე საუბრობს?**

ძალიან ხშირად (5), ხშირად (4), ხანდახან (1), იშვიათად (0), არასოდეს (0).

**12. ნერვიულობთ თუ არა რიგში დგომისას?**

ძალიან ხშირად (4), ხშირად (3), ხანდახან (2), ძალიან იშვიათად (1), არასოდეს (0).

**13. გიყვართ თუ არა რჩევების მიცემა?**

დიახ, ყოველთვის (4), ძალიან ხშირად (3), ხანდახან (1), ძალიან იშვიათად (0), არასოდეს (0).

**14. დიდხანს ფიქრობთ გადაწყვეტილების მიღებამდე?**

ყოველთვის (3), ძალიან ხშირად (2), ხშირად (1), ძალიან იშვიათად (3), არასოდეს (0).

**15. როგორ ლაპარაკობთ?**

ძალიან ჩქარა (3), ჩქარა (2), მშვიდად (0), ნელა (0), თავდაჯერილად (0).

## დაითვალეთ ქულები:

45-დან 63 ქულამდე: უახლეს მომავალში ნერვიული სტრესი გელით. გაიზომეთ წნევა და ქოლესტერინის შემცველობა სისხლში. დროა შეცვალოთ ცხოვრების წირი.

20-დან 44 ქულამდე — ცხოვრებას უფრო მშვიდად უნდა უყუროთ. ხანდახან უნდა შეძლოთ მოშვება, ამით დაძაბულობა მოგეხსნებათ.

19 ქულამდე — თქვენ ახერხებთ სიმშვიდისა და წონასწორობის დაცვას. ეცადეთ არ გალიზიანდეთ და დრამატულად ნუ მიიღებთ წარუმატებლობას სიყვარულში.

0 ქულა — თუ თქვენ გულახდილად უპასუხეთ ყველა შეკითხვას, ერთადერთი საფრთხე, რაც გემუქრებათ ზედმეტი სიმშვიდე და აქედან გამომდინარე მოწყენილობაა.

# რჩევები

თუ საუთოებელ ფიცარს გადასაკრავს უცვლით, ალუმინის ფოლგის 2 ნაჭერი სარჩულსა და გადასაკრავს შორის მოათავსეთ. ფოლგა სითხეს იკავებს და გაუთოვება ორჯერ სწრაფად შეიძლება. თან წყალი, რომლითაც თეთრეულს აპკურებთ, სარჩულს არ დაასველებს.

*

თუ გსურთ, მოხარშული კვერცხი რამდენიმე ხანს შეინახოთ, მოათავსეთ ცივი წყლით სავსე ქილაში და მაცივარში შედგით.

*

უმ ხორცს და ბოსტნეულს ადვილად დაჭრით, თუ დანას ცოტა ხნით ადუღებულ წყალში მოათავსებთ.

თუ შაქრის ფხვნილში ჭიანჭველები გაჩნდა, ჩაყარეთ შიგ რამდენიმე ცალი მიხაკი (1 კილოგრამზე — 8 ცალი) და ჭიანჭველები მალე გაქრებიან.

*

მელნის ლაქა რომ ამოიღოთ, ნაჭრის ორივე მხარეს კბილის პასტა წაუსვით, რამოდენიმე ხნის შემდეგ კი გარეცხეთ.

*

სუფრიდან ხილის წვენის ლაქა რომ ამოიღოთ, პირველად გლიცერინი წაუსვით, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ გარეცხეთ.

*

ლიმონი ორჯერ მეტ წვენს მოგცემთ, თუ წინასწარ 15 წუთით გააჩერებთ წყალში.

ლიმონი რომ დიდხანს დარჩეს ახალი, ისინი ცივი წყლით სავსე ქილაში ჩაალაგეთ, შედგით მაცივარში და ყოველდღე უცვალეთ წყალი.

*

მწვანილი რომ ქორფა დარჩეს, მოაჭერით ძირები, ხოლო ღეროები ადუღებულ წყალში ჩაუშვით. ორი საათის შემდეგ დამჭკნარი ფოთლებიც კი ქორფა გახდება.

*

რძის ადუღებისას თუ შეამჩნევთ რომ რძე ეს-ესაა აიჭრება, მაშინვე ერთი მწიკვი სოდა დაუმატეთ. რაც რძის აჭრას გამორიცხავს.

**თარგმნა ომარ ესიტაშვილმა**

**ინდოეთის ქალთა ჟურნალი. № 1 1991 წ.**

## შენ ჩემი ბედის ვარსკვლავო




24 სექტემბერი — 23 ოქტომბერი

მე-7 ნიშანი ზოდიაქოსი; მე-8 ძირითადი ნიშანი; მას მართავს პლანეტა ვენერა; ბედნიერი რიცხვი 6 და ყველა ის რიცხვი, რომელიც ექვსზე იყოფა; ასტროლოგიური სიმბოლო — ვენერა; ასტროლოგიური ფერები: მუქი ცისფერი, მეწამული, ზღვის ტალღისფერი. ასტროლოგიური ქვები: ზურმუხტი, საფირონი, ოპალი, მარგალიტი, ბერილი; სასწორი მართავს ჰოროსკოპის მე-7 სახლს (ცოლ-ქმრობის სახლს) და ამიტომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეძებს ადამიანს, რომელიც იდეალური ქმარი იქნება მისთვის, მაგრამ როდესაც იგი ბოლოს და ბოლოს იპოვის ამ იდეალურ პარტნიორს, იშვიათად არის ბედნიერი. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ სასწორი ეტრფის თავის სიყვარულს? იქნებ ისევე, როგორც ვენერას ატმოსფეროა ასტროლოგებისათვის შეუცნობი (დანისლულობის გამო), სასწორის ნიშნის ადამიანებიც შეუცნობელნი რჩებიან?

მათ აქვთ ნათელი და ანალიტიკური ჭკუა, მათ შეუძლიათ გულითადი მეგობრობა და ხაიმედო ხაქმიანი პარტნიორობა. ისინი უფრო მეტს ფიქრობენ სხვისი ბედნიერებისათვის, ვიდრე საკუთარი თავისთვის. სასწორი ყოველ ღონეს ხმარობს თავიდან აიცილოს კონტაქტი ისეთ ადამიანებთან, რომლებიც არღვევენ ეთიკისა და მორალის ნორმებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასწორი გონებრივად განვითარებულია, იგი არაპრაქტიკულია, უფრო დღევანდელი დღით ცხოვრობს, თუმცა მოგვიანებით ნანობს ამის გამო. რაკი სასწორს ძალზე აშინებს ყოველგვარი მიწიერი სამუშაო, ხშირად უმუშევარია, მან გონიერება უნდა გამოიჩინოს და აირჩიოს ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, თუ სურს ჰქონდეს მუდმივი სამუშაო. დღევანდელ სასტიკ კომერციულ სამყაროში სასწორს ერთი უპირატესობა აქვს — მისი ნიშანი განაგებს სიყვარულს, სილამაზეს და ხელოვნებას.

სასწორი მომხრეა სულიერი სიყვარულისა და რადგანაც ფიზიკურ სიყვარულს არაესთეტიკურად მიიჩნევს, ამიტომ, ვინც მოსწონს, მას შორიდან ეტრფის.

სასწორი ზედმეტად პატიოსანი, გულითადი და ყურადღებიანი ნიშანია. მან სანგრძლივი მეგობრობა იცის. ამ ნიშნის ქალები ემორჩილებიან ქმრის მოთხოვნებს, ხოლო მამაკაცები, თუმც კარგად ვერ ამარაგებენ ოჯახს, მაგრამ იცავენ ჰარმონიას და კარგი მამები არიან.

29,5 წლამდე სასწორი უკეთ ეთვისება ტყუპებისა და მერწყულის ნიშნებს. სამივე ნიშანი ჰაერისაა და 29,5 წლამდე მათი ინტელექტუალური, საზოგადოებრივი და სექსუალური ურთიერთკავშირები არამყარი და ცვალებადია. 29,5 წლის შემდეგ, როცა ისინი მომწიფდებიან, უფრო პრაქტიკულები ხდებიან: უყვართ ოჯახში ყოფნა, არ მოსწონთ თავქარიანი ცხოვრება. ამ ასაკში მეტ საერთოს პოულობენ ლომთან და ვერძთან, რომლებიც აგრესიულად პატივმოყვარენი არიან და სჭირდებათ სასწორის გაწონასწორებულობა.

45,5 წლის შემდეგ სასწორი უფრო განვითარებულია და საკუთარ ინტელექტუალურ „მეხთან" შინაგანი კონფლიქტის უნარს ავლენს. იდეალიზმისა და რომანტიზმის წყალობით იგი ახლა უფრო კარგად ეგუება თევზისა და მშვილდოსნის ნიშნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მამაკაცი სამზარეულოში

ძვირფასო მამაკაცებო! დარწმუნებულნი ვართ პეტრე სარალიევისა და ჩვენი ჟურნალის დახმარებით უკვე შესანიშნავად აითვისეთ ცივი და ცხელი საუზმეულის დამზადების მარტივი წესები, რითაც სასიამოვნოდ გააოცეთ სამსახურიდან დაბრუნებული დაღლილი მეუღლე, რომელმაც გულწრფელად გამოგიცხადათ. რომ ცხოვრებაში ასეთი გემრიელი არაფერი გაუსინჯავს და საგონებელში ჩააგდეთ ერთი ბოთლი ლუდის დასალევად მოსული მეგობარი, როცა დაუდევრად აღნიშნეთ, რომ საბჭოთა ლუდზე მისაყოლებელი ეს ევროპული საუზმე თქვენ გაამზადეთ მოცალეობის ჟამს. მაგრამ საუზმეულის შემდეგ ხომ წვნიანი უნდა მიირთვათ. ნუ შეგეცვალათ სახეები! ვიცით, რომ წვნიანი მაინცდამაინც არ გეხატებათ გულზე და სიამოვნებით გადახვიდოდით პირდაპირ მეორე თავ კერძზე. ამიტომ პეტრე სარალიევი და „საქართველოს ქალი“ გაფრთხილებთ: **წვნიანი აუცილებელია კუჭ ნაწლავისათვის. ის აღვიძებს მადას და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. ცხელი, ვიტამინებით სავსე წვნიანი ხსნის დაღლილობას და აღადგენს დღის განმავლობაში დახარჯულ ძალასა და ენერგიას! მაშ ასე,**



## კარტოფილის წვნიანი პიურე

მასალა: ერთი ლიტრი წყალი, 5 საშუალო ზომის კარტოფილი, 1/2 შეკვრა კარაქი, ერთი ჩაის კოვზი მარილი, ლიმონი.

აადუღეთ წყალი ფართოძირიან ქვაბში. სანამ წყალი დუღს, კარტოფილი გათალეთ და ცივ წყალში ჩააწყვეთ. ქვაბში წყალი რომ ადუღდება, დაამატეთ მარილი და რეცეპტში მოცემული კარაქის დოზის ნახევარი. კარტოფილი სათითაოდ გახეხეთ სახეხზე და მდუღარეში ჩაუშვით, ხშირად ურიეთ და ადუღეთ 30 წუთი, შემდეგ ჩაამატეთ დარჩენილი კარაქი, მოაყარეთ ცოტა წიწაკა და ლიმონთან ერთად მიიტანედ სუფრაზე.

## ბრინჯის წვნიანი ყველით

მასალა: ერთი ლიტრი წყალი, 1/4 ჩაის ჭიქა ბრინჯი, ამდენივე ზეთი, ერთი ხახვი, 2-3 პომიდორი, ოხრახუში, ერთი ჩაის კოვზი მარილი.

ადუღებულ წყალში ჩააყარეთ მარილი, წვრილად დაჭრილი ხახვი და ჩაასხით ზეთი, ადუღეთ კიდევ რამდენიმე წუთი. შემდეგ ჩაასხით გახეხილი პომიდორი და გარჩეული და გარეცხილი ბრინჯი. აურიეთ, გააჩერეთ კიდევ ოცი წუთი და ჩამოდგით გაზქურიდან. ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი, ოხრახუში, თავი დაახურეთ და ერთი წუთის შემდეგ შეგიძლიათ სუფრაზე მიიტანოთ.

## კვერცხის წვნიანი

მასალა: 2 კვერცხი, 1/6 შეკვრა კარაქი, 2 სუფრის კოვზი ვერმიშელი, ერთი ჩაის კოვზი მარილი, ოხრახუში,

ერთ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაყარეთ მარილი, ვერმიშელი და კარაქი, აურიეთ და ადუღეთ ოდნავ სახურავდახურულ ქვაბში. ამასობაში კვერცხები ათქვიფეთ და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში. ვერმიშელი რომ მზად იქნება ქვაბში ნელ-ნელა ჩაუშვით კვერცხი და განუწყვეტლივ ურიერთ. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ წვნიანი მზად იქნება, მოაყარეთ წიწაკა გემოვნების მიხედვით და სუფრაზე მიიტანეთ ლიმონთან ერთად.

## ბოსტნეულის წვნიანი

მასალა: 250 გრამი წვანე ლობიო, 1/4 მომცრო კომბოსტო, ერთი სტაფილო, ერთი ბულგარული წიწაკა, 4 პომიდორი, ერთი ხახვი, 1/5 ჩაის ჭიქა ზეთი, ცოტა მარილი, წიწაკა, ოხრახუში.

ერთ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაყარეთ მარილი, წვრილად დაჭრილი ხახვი, სტაფილო და ჩაასხით ზეთი. რამდენიმე წუთის შემდეგ დაუმატეთ გარეცხილი და დაჭრილი მწვანე ლობიო, ხოლო ათი წუთის შემდეგ დანარჩენი ბოსტნეული (ასევე დაჭრილი). ადუღეთ 25 წუთი, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში. ეს წვნიანი ცივიც გემრიელია.

## ვაზის ფოთლის წვნიანი

მასალა: 10 ვაზის ფოთოლი, ცოტა მწვანილი, ერთი თავი ხახვი, 1/4 ჭიქა ზეთი, 2 სუფრის კოვზი ბრინჯი ან ვერმიშელი, ერთი ჩაის კოვზი მარილი, ცოტა წიწაკა, ოხრახუში, პიტნა.

ერთ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაუშვით მარილი, ზეთი და კარგად გარეცხილი და დაჭრილი ვაზის ფოთლები. 10 წუთის შემდეგ დაუმატეთ ვერმიშელი ან ბრინჯი, წითელი წიწაკა და ნელ ცეცხლზე ხდუღეთ 20 წუთი. ბოლოს დაუმატეთ ოხრახუში და პიტნა.

## რძის წვნიანი

მასალა: ერთი ჭიქა ცივი რძე, 2 სუფრის კოვზი ფქვილი, ერთი კვერცხი, 1/8 შეკვრა კარაქი, ოხრახუში, ერთი ჩაის კოვზი მარილი, ლიმონი.

ფქვილი გახსენით ნახევარ ჭიქა რძეში, დაუმატეთ კვერცხი, ათქვიფეთ ჩანგლით და დაასხით დარჩენილი რძე. ერთ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაუშვით მარილი, კარაქი, ნელ-ნელა ურიეთ და ჩაასხით მომზადებული მასა. ადუღეთ ცოტა ხანს ნელ ცეცხლზე; სუფრაზე მიიტანეთ ლიმონთან ერთად.

## ტარატორი (თურქული ცივი წვნიანი)

მასალა: ერთი ბოთლი კეფირი ან მაწონი, ერთი კიტრი, ცოტა ნიორი, 2 სუფრის კოვზი ზეთი, 1/2 კოვზი მარილი, ცოტა კამა.

კეფირი (ან მაწონი) გადმოიღეთ ფართო ჭურჭელში და კარგად აურიეთ მარილთან ერთად) შეიძლება მიქსერიც იხმაროთ) დაამატეთ დაჭრილი კამა, გახეხილი ნიორი და კარგად აურიეთ. კიტრი გათალეთ, წვრილად დაჭერით და ზეთთან ერთად შეურიეთ მაწონს. დაამატეთ ცოტა წყალი, თუ გსურთ წვნიანი სქელი იყოს, და მეტი წყალი, თუ თხელი წვნიანი გირჩევნიათ.

## წვნიანი გუფთით

მასალა: 250 გრ. ფარში, ერთი ხახვი, 3-4 სუფრის კოვზი ბრინჯი. წითელი წიწაკა, ერთი კვერცხი. ერთი პომიდორი. ერთი ჩაის კოვზი მარილი, ოხრახუში, 1/8 შეკვრა კარაქი, ლიმონი, ფქვილი.

ერთი ლიტრი წყალი აადუღეთ ქვაბში. ფარშს შეურიეთ 1 სუფრის კოვზი გარჩეული და გარეცხილი ბრინჯი, ცოტა მარილი, წითელი წიწაკა, ერთი სუფრის კოვზი წყალი და კარგად აურიეთ. გაყავით ექვს თანაბარ ნაწილად. დაამრგვალეთ და ამოსვარეთ ფქვილში. ხახვი დაჭერით და მარილთან ერთად ჩაუშვით ადუღებულ წყალში. რამდენიმე წუთის შემდეგ წყალში სათითაოდ ჩააწყვეთ გუფთები, დარჩენილი ბრინჯი, დაჭრილი პომიდორი. მოურიეთ და ადუღეთ 25 წუთი. შეკმაზეთ მწვანილით. დაუმატეთ კვერცხი და წიწაკა. სუფრაზე მიიტანეთ ლიმონთან ერთად.

## წვნიანი სოსისი

ერთ ლიტრ ადუღებულ წყალში ჩაუშვით მარილი, ზეთი, დაჭრილი ხახვი და კომბოსტო. დაჭრილი კარტოფილი. რამდენიმე წუთში კი პომიდორი და წითელი წიწაკა. ხარშეთ ნახევარი საათი და ჩაუშვით პატარა ნაჭრებად დაჭრილი სოსისი და მწვანილი. სოსისი რომ მოიხარშება წვნიანი მზად არის.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



### გივი ალხაზიშვილი

* * *

1.

როცა მომბეზრდა ხუხხი ოებერვლის
და ყორნის ფრთების შავი ხავხავი,
ვინატრე სიტყვა მშვიდი, ბებერი
და მოწყენილი საუდრის ქვახავით.
გამოვექეცი ზამთარს ნავსიანს
ისევ ოცნებით, არა მიხნობით.
შემომყურებდა ხშელი ხავსიდან
უცვლელი თვალი მარადისობის.

2.

რად ამიხილე თვალი, უფალო,
რად დამანახე ლურჯი ხივრცენი,
დავდივარ ჩემთვის და ხალხს ვუმალავ
რაც დავინახე და შევიგრძენი.
დღეს თებერვალმაც ვერ შემაკავა,
იქითკენ მივალ, მიმიხარია.
თქვენ გეჩვენებათ თითქოს აქა ვარ,
მე ხხვაგან ვცხოვრობ დიდი ხანია.

* * *

შრიალებს მუხა და ვარდი, ლობეს
მიხუტებული მრავალი კოკრით,
ხულ მალე ეზოს ხიწითლეს მომფენს,
მე კი რატომღაც სინანულს მომგვრის.

რადგან შენ არა, არც ხხვა, არც არვინ,
მე უფრო მიყვარს სიმაღლის ჰვრეტა,
ჩამავალი მზის ლალი და ქარვა
კენწეროების დიდებულ ჭვრებთან.

* * *

მახსოვს მიკითხავდი ტრიოლეტს,
ხმოვნები გამხელდნენ,
მზე ეფერებოდა თრიალეთს,
წამით რომ გავხედე.

ახლა კი იმ ადგილს
ქორი დასტრიალებს
და ქარი შავ ღრუბლებს ამხედრებს.

აქ შენი ხული ტრიალებს,
ანათებს შენი ხული,
შენი თვალებიც ახხოვს თრიალეთს
დარდით შენიხლული,
განა მარტო შენ,
მეც ვარ შერისხული.

* * *

რაც შენ წაზვედი, საყვარელო, აღარ
თენდება.
საკვირველია, თუ გათენდა, ლამდება გვიან,
ლია ფანჯრებში შემოდგომა რომ იხედება,
ამ შემოდგომას შენნაირი სახელი ჰქვია.

სავსეა სივრცე სინანულით ისე ფაქიზით,
რომ ცა სილურჯეს მონატრებულ
სიტყვებში აქსოვს.
შენი სახელი გადაირბენს მდუმარ ბაგეზე,
შენი სახელი კოცნასავით ლამაზად მახსოვს.

რადგან წუწუხილი არის ახლა ისე ძლიერი
და სიყვარულზე, უმძაფრესზე რაღაცით
მეტი,
რომ მეშინია საშინელი სიცარიელის
და ერთფეროვან შეხვედრათა მტანჯველი
ბედის.

* * *

გზა ჩამიკეტა ზამთარმა,
პატარა სახლი წამართვა,
უცხო ვარ, დავრჩი მარტოკა
არაყთან, დარდის წამალთან.

დავლევ და ვუახლოვდები,
ის მელანდება ყველგან,
მთვარე, ვარსკვლავი, ღრუბელი,
იმითი ხუნთქავს ქვეყანა.

იქით ის ნატრობს გაზაფხულს,
აქეთ მე ვკვდები ნატვრითა,
სიზმარში მაინც მენახა,
იქ არის დამამდლიდა.

კინო-კალეიდოსკოპი

# დრონი მეფობენ

თუ ჯერ კიდევ გუშინ მშვენიერი სქესის წარმომადგენლების ყურადღება მიპყრობილი იყო მომხიბვლელი კინომსახიობებისაკენ, რომლებიც განაგებდნენ მოდას და ქცევის წესებსაც კი, დღეისათვის ეს როლი ხელთ იგდეს ფოტომოდელებმა. მსახიობები პრაქტიკულად ვერავითარ სიახლეს ვეღარ სთავაზობენ თანამედროვე საქმიან ქალს სანიმუშოდ. სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს მერილ სტრიპი. მუსიკალური ბიზნესის სამყაროში ჯერ კიდევ ინარჩუნებს პოპულარობას ტინა ტერნერი, მაგრამ იგი უკვე 52 წლისაა. მადონამაც ამოწურა თავისი შესაძლებლობები — მაყურებელს საკმაოდ მობეზრდა მისი ეროტიული იმიჯი. ახე რომ, დადგა დრო ქალის ახალი ტიპის, ახალი მოდელის წარმოჩენისა, რასაც წარმატებით გაართვეს თავი ექსტრავაგანტურმა ფოტომოდელებმა.

საერთაშორისო არენაზე ერთერთი ახეთი ლიდერი გახლავთ ლინდა ევანგელისტა — მხოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული ექსტრა-კლასის მანეკენი და ფოტომოდელი, რომლის ფოტოსერიალები დღეს ყველა პრესტიჟულ ჟურნალს ამშვენებს. მისმა შემოსავალმა გასულ წელს ორი მილიონი დოლარი შეადგინა. მის თაყვანისმცემლებს იზიდავთ მისი თავისებური განუმეორებელი სტილი, მომნუსხველი გამოხედვა — ყინულივით ცივი და ცეცხლოვანი ერთდროულად. იგი ეწევა, სვამს, ხშირად მართავს სკანდალებს ნიუ-იორკისა და ლოს-ანჯელესის დისკოთეკებში. შუშაობისას კი ლინდა ძალიან მომთხოვნია და არ უყვარს, როდესაც ურჩევენ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს.

## ჯონ კენედისა და მერილინ მონროს ქალიშვილი

ამას წინათ პრესაში გაჩნდა სენსაციური ცნობა, რომელმაც თავისი მოულოდნელობით ბევრის მომხრე და მნახველი ამერიკელებიც კი გააოგნა. 28 წლის ახალგაზრდა მანეკენმა ელიზაბეთ ჯინ მორტენსონმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ იგი პრეზიდენტ ჯონ კენედისა და ცნობილი კინოვარსკვლავის მერილინ მონროს ქალიშვილია. ეს ფაქტი ელიზაბეთის დაბადების მოწმობამ და, ახე განიხჯეთ, „სიცრუის დეტექტორმაც" კი დაადასტურა.

## პფაიფერმა შიმშილობა გამოაცხადა

უცხოეთში დიდი წარმატებით უჩვენებენ ამერიკელების მიერ ჯონ ლე კარეს სცენარით დადგმულ ფილმს „რუსული სახლი". სურათი, რომლის დიდი ნაწილი მოსკოვში გადაიღეს, ეძღვნება საჯაროობას, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, ინგლისის სპეცსამსახურსა და, რასაკვირველია, სიყვარულს... მთავარ როლებს ასრულებენ მსოფლიო კინოს ბრწყინვალე ვარსკვლავები შონ კონერი, მომხიბვლელი მიშელ პფაიფერი.

გადაღებებზე ჩამოსული ახალგაზრდა მსახიობი ქალი აღაშფოთა ხელმძღვანელობის გულგრილმა დამოკიდებულებამ საბჭოთა მსახიობებისა და სტატისტების მიმართ, კერძოდ იმან, რომ მათ ეკრძალებოდათ უცხოელებთან ერთად სადილობა (წარმოიდგინეთ, რამდენად უფრო ღარიბული იქნებოდა მათი მენიუ სტუმრებთან შედარებით). კინოვარსკვლავმა შიმშილობაც კი გამოაცხადა და მთელი ღამე ტირილში გაატარა. იგი, როგორც იქნა, დაიყოლიეს შეეწყვიტა საპროტესტო აქცია და ეჭამა რამე. „ახლა კი მივხვდი, რას ნიშნავს იყო რუსი", — ნაღვლიანად თქვა სტუმარმა.

## „როლი, რომელიც შენ გეკუთვნის"

მაისში, კანის 44-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო კარენ შახნაზაროვის ახალი ნამუშევარი „მეფის მკვლელი", რომელიც ინგლისელ კოლეგებთან ერთად გადაიღო. ბოლო დროს მოძიებული დოკუმენტური საარქივო მასალების მიხედვით შექმნილი სურათი ნიკოლოზ II-ის ოჯახის ტრაგიკულ ბედს აღწერს. მასში მთავარ როლებს ასრულებენ ოლეგ იანკოვსკი (ნიკოლოზ II) და ცნობილი ინგლისელი მსახიობი მაკ-დაუელი (მეამბოხე-რევოლუციონერი იუროვსკი). ერთ-ერთი საუბრისას მან განაცხადა: „ვიცოდი, რომ აქ ჰონორარი ბევრად ნაკლები იქნებოდა, ვიდრე დასავლეთში, მაგრამ სამუშაო ჩემთვის მარტო ფულის კეთების საშუალება როდია. ზოგჯერ, უბრალოდ, სცენარი მოგეწონება, სიმპათიით განეწყობი რეჟისორის მიმართ და, საერთოდ, იგრძნობ, რომ ეს შენი როლია... ახე დამემართა „მეფის მკვლელის" სცენარის წაკითხვისას. ბედნიერი ვიყავი, რომ, კარენ შახნაზაროვმა მიპოვა ქვეყანაში და იუროვსკის როლი შემომთავაზა. მაშინვე მივხვდი, ფილმი შეხძრავდა და დააინტერესებდა მაყურებელს არა მხოლოდ რუსეთში, არამედ დასავლეთშიც და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის".

მოამზადა **ნანა ენუქიძემ**

იუმორი

იადვიგა რუტკოვსკა

## მიმართვა ქმრებისადმი

პატივცემულო ბატონებო! მინდა გაგაცნოთ ჩემი დიდი ხნის მოწაფრძოებული დაკვირვებით მიღწეული აზრი.

პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწე მამაკაცთა 9 პროცენტი საერთოდ ზედაც არ უყურებს ცოლს, ასინი ისე არიან საქმით დატვირთულები, რომ მხოლოდ გადაღლილობის გამო თუ მიაშტერდებიან მას თვალს.

ამის დასადასტურებლად მოგიყვან რამდენიმე მაგალითს და დარწმუნდებით, რომ ვინც თვალებში არ უყურებს ცოლს, შეიძლება მოგებულიც დარჩეს.

ერთი კაცი ოტასოდენა ყურადღებას არ აქცევდა ცოლს. წლების მანძილზე მას სჯეროდა, რომ მისი ცხოვრების მეგობარს გაცნობის დღიდან ოდნავადაც არ მოხმატებია ჭკუა. კაცი ბუნებით კეთილი გახლდათ და ამიტომ იშვიათად თუ შეხჩივლებდა მეგობრებს თავისი ცოლის გონებრივი შეზღუდულობის თაობაზე.

ერთ დღეხ, როცა ჯაილვიდა, სახლში ცოლი არ დახვდა, არც სუფთა პერანგი და წინდები ეწყო მისთვის. იმავე დღეს ქმარმა ნაცნობებისაგან შეიტყო, რომ მისი ცოლი, უნივერსიტეტის პროფესორი ყოფილა და მეცნიერებათა საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამგზავრებულა.

მეორე კაცი, რომელსაც ჩვევად არ ჰქონდა ცოლით დაინტერესება, დიდი ხანი ოცნებობდა გაყრაზე. არა, იმას კი არ ეჭვობდა, რომ ცოლს არ უყვარდა და მის მიტოვებას აპირებდა. როგორ დატოვებდა გაუბედურებულ ქმარს! და აი, ერთ დღეს მან შემთხვევით, სრულიად უცნობი კაცისაგან შეიტყო, რომ ცოლს კარგა ხანია საყვარელი ჰყავს, მაგრამ კეთილი გულის ქალი მეუღლეს მაინც უწევს ფიცლს.

ერთმა კაცმა კი, მხოლოდ მას შემდეგ მიაქცია თავის ცოლს ყურადღება, ხუევანში ხეირნობისას მეგობარმა რომ გაახედა: — შეხე, შეხე, რა ლამაზი ქალია!

აი მაშინ, ქმარმა აღარ გააბა რომანი სხვასთან, თავისი ცოლით დაინტერესდა და მოგებულიც დარჩა.

თუმცა არასასიამოვნო ამბავია, მაგრამ ესეც უნდა გავიხსენო. ერთი კაცი იმდენად არ აკვირდებოდა თავის ცოლს, რომ როცა იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და ქმარი შემთხვევის ადგილზე მივიდა, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფრით ვერ იცნო, ვინ იყო ის ქალი. ერთი სიტყვით, ძალიან უბერებულ მდგომარეობაში ჩავარდა.

და ბოლოს, ერთმა კაცმა, რომელსაც შემთხვევით გაექცა თვალი ცოლისკენ, შეშფოთებულმა შეიცხადა: რა საშინელი წლობით იყო ვიღაც ქალთან, რომელიც ღმერთმა იცის, საიდან მოვიდაო.

პატივცემულო ბატონებო!

ხომ ხედავთ, ცხოვრებაში ბევრი კეთილშობილური ნაბიჯის გადადგმა შეიძლება, ვთქვათ, ყურადღებით დავაკვირდეთ საკუთარ ცოლს.

გულწრფელად გისურვებთ წარმატებას!

პოლონურიდან თარგმნა

**ინგა კაკაბაძემ.**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძუძუს კიბო

**სამი ფაქტორი განაპირობებს ძუძუს კიბოს განვითარების სიხშირეს: პირველი მენსტრუაციის ადრეული დაწყება, გვიანი ორსულობა და კლიმაქსის მოგვიანებული განვითარება.**

## არის თუ არა მენსტრუაციული ციკლი გამრავლების პროცესის ნორმალური მახასიათებელი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას დავეყრდნობით ორი ცნობილი მეცნიერის — რ. შორტისა და ალფრედ კოუის მონაცემებს:

საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა აზრი, რომ მენსტრუალური ციკლი გამრავლებითი აქტივობის ნორმალური ფორმაა, ხოლო ორსულობა — განსაკუთრებული მდგომარეობა. ნორმალურ მენსტრუალურ ციკლზე ისე ვსაუბრობთ, თითქოს გამრავლების პროცესში წამყვანი იყოს, სინამდვილეში კი ის საშუალებაა, რომლითაც ბუნება მორიგი ორსულობის გარანტიას იძლევა.

ალბათ იკითხავთ: საშიშია თუ არა ორგანიზმისათვის განმეორებითი მენსტრუალური ციკლები და დაუორსულებლობა?

ასეთი შიში უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

ჩვენს შორეულ წინაპრებს, ისევე როგორც დღევანდელ მომთაბარე ტომების ქალებს, მენსტრუალური ციკლი აღენიშნებოდათ ყმაწვილობის პერიოდში 1-2 წლის განმავლობაში პირველ მენსტრუაციასა და პირველ ჩასახვას შორის, რასაც მოსდევდა 9 თვის ორსულობით და 2-3 წლის ძუძუს წოვით გამოწვეული მენსტრუაციის შეწყვეტა, რის შემდეგაც ქალს შეიძლება ჰქონოდა ორი ან სამი მენსტრუალური ციკლი, რასაც შემდგომში კვლავ მოჰყვებოდა ორსულობა. ასე რომ ყველაფერი თავიდან მეორდებოდა. ნაყოფის მომცემ ქალს გამრავლების პერიოდის განმავლობაში შეიძლებოდა ყოლოდა 6 ბავშვამდე და ჰქონოდა სულ რაღაც 30-40 მენსტრუალური ციკლი. აღნიშნული სიტუაცია შეადარეთ დღევანდელ მდგომარეობას, თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ქალებს, რომლებსაც პირველი მენსტრუაცია ეწყებათ 13 წლის, ხოლო კლიმაქსი — 50 წლის ასაკში ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ხმარებისას, შეიძლება ჰქონდეთ ორი ორსულობა, ორსულობის შემდგომში 3 თვის ძუძუს წოვით გამოწვეული მენსტრუაციის შეწყვეტით, (ვინაიდან ადრე წყვეტენ) ახალშობილთა ძუძუთი კვებას, სწორედ ასეთ ქალიშვილებს შეიძლება ჰქონდეთ 400-ზე მეტი მენსტრუალური ციკლი. ამ ფაქტში უნდა ვეძიოთ ორგანიზმში მიმდინარე ანომალიების მიზეზი, რადგან ყოველ ციკლს თან სდევს ცვლილებები საკვერცხეებში, საშვილოსნოსა და ძუძუებში.

ცნობილია, რომ არა ნამშობიარებ ქალებში, საკვერცხეების სიმსივნის გაჩენის მეტი შანსია, ვიდრე ნამშობიარებ ქალებში.

რაც შეეხება საშვილოსნოს, რაც უფრო მეტია რიცხობრივად მენსტრუალური ციკლის სიხშირე, მით მეტია ენდომეტრიოზის გაჩენის ალბათობა, რომლის დროსაც მენსტრუალური ციკლის დროს ჩამოფცქვნილი საშვილოსნოს შიგნითა გარსის მცირე ნაწილაკები კვერცხსავალის საშუალებით ხვდებიან მუცლის ღრუში და ნაგრდებიან მცირე მენჯის ღრუს ორგანოებზე. აღნიშნულმა ნაწილაკებმა მენსტრუალური ციკლის დროს შეიძლება გამოიწვიონ ტკივილები.

რიგ ქვეყნებში ხშირია საშვილოსნოს ამოკვეთის შემთხვევები, რაც უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია მტკივნეული, არარეგულირებადი და არაკონტროლირებადი მენსტრუალური ციკლით.

მენსტრუალური ციკლის ორგანიზმზე მავნე გავლენის თვალსაჩინო მაგალითია ძუძუს კიბოს განვითარება, რომელიც ქალებში კიბოს ყველაზე ხშირი ფორმაა და რომელიც განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებ ყოველი ოცი ქალიდან ერთს მაინც უვითარდება. ძუძუს კიბოს განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ესტროგენებს (ქალის სასქესო ჰორმონს). მენსტრუალური ციკლის პირველ ნახევარში ძუძუს ქსოვილი განიცდის არაბალანსირებულ სტიმულაციას ესტროგენებით. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ძუძუს კიბოთი დაავადების რისკი მით მეტია, რაც უფრო ადრე ყალიბდება პირველი მენსტრუაცია და რაც უფრო გვიან ვითარდება კლიმაქსი. ორივე ფაქტორი ხელს უწყობს მენსტრუალური ციკლის რიცხვის ზრდას. ორსულობა, როგორც ჩანს, თამაშობს დამცველობით როლს და რაც უფრო ადრე ასაკში დაორსულდება ქალი, მით მეტია მისი დაცველობითი უნარი. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გასაგები უნდა იყოს ის გარემოება, რომ ძუძუს კიბო უფრო ხშირად უვითარდებათ მონაზვნებს.

სამწუხაროდ არ არსებობს ცხოველებზე ჩატარებული ცდების მონაცემები, რომლებიც პასუხს გასცემენ კითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ორსულობის არ არსებობა ორგანიზმზე და სიკვდილიანობაზე.

საინტერესოა საკითხი ჩასახვაზე ძუძუს წოვის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ.

ძუძუს წოვა ბუნებრივი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებაა. იგი საკმარისად მკვეთრი დამთრგუნავი ზემოქმედებაა საკვერცხიდან კვერცხუჯრედის გამოსვლაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერიფერიიდან ცენტრისაკენ მიმავალ ნერვულ იმპულსებს, რომლებიც წარმოიშობიან წოვის პროცესში ძუძუს კერტში და მიემართებიან თავის ტვინისაკენ. ექსპერიმენტში კერტის ნერვის გადაჭრა ხსნის წოვის დამთრგუნავ მოქმედებას საკვერცხიდან კვერცხუჯრედის გამოსვლაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ პროცესში აგრეთვე ძუძუს წოვის ხანგრძლივობაც. ჩატარებულმა დემოგრაფიულმა გამოკვლევებმა სამხრეთ აფრიკის კალაჰარის უდაბნოში მაცხოვრებ მომთაბარე ტომის ქალებში ცხადყო, რომ ისინი არ ხმარობენ ჩასახვის საწინააღმდეგო არავითარ საშუალებებს, არ ეკრძალებათ სქესობრივი კავშირი ძუძუს წოვის პერიოდში, ინტერვალი მშობიარობებს შორის მაინც 4 წელიწადს აღწევს. ჩვილი ამ ტომში მუდმივ კონტაქტშია დედასთან და ძუძუს წოვს მცირე ინტერვალებით მთელი დღის განმავლობაში, ამასთან ძუძუს წოვას ძილშიც აგრძელებს. წოვის ეს პროცესი გრძელდება 3-4 წლის განმავლობაში, იმისათვის, რომ მივიღოთ მაქსიმალური ჩასახვის საწინააღმდეგო ეფექტი, საჭიროა ჩვილი ვკვებოთ მოთხოვნის მიხედვით, დიდი ხნის განმავლობაში.

კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. როგორც უკვე იყო ნათქვამი, სამი ფაქტორი განაპირობებს ძუძუს კიბოს განვითარების სიხშირეს: პირველი მენსტრუაციის ადრეული დაწყება, გვიანი ორსულობა და კლიმაქსის მოგვიანებული განვითარება. ქალებში, რომლებსაც პირველი შვილი 17 წლამდე შეეძინათ, ძუძუს კიბოს განვითარების რისკი სამჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ქალებში, რომლებმაც შვილი შვეს 35 წლისაზე გვიან. მეტიც, ქალს, რომელსაც პირველი შვილი 35 წლისას შეეძინა, ძუძუს კიბოს გაჩენის რისკი მეტი აქვს, ვიდრე საერთოდ არა ნამშობიარებ ქალებს.

ძვირფასო ქალებო! თუ ზემოთ მოთხრობილს გაითვალისწინებთ, ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებთ და საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემების დადებითად გადაწყვეტასაც შეუწყობთ ხელს.

**ნოდარ ჟიჟინაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკითხველო! ამ ბარათების ავტორები თქვენს გამოხმაურებას ელიან

## რა დავუძახოთ დედამთილს?

ვარ ახალგაზრდა რძალი. მყავს დედამთილი, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ოჯახში მისვლის დღიდან ვცდილობ დედა დავუძახო, მაგრამ ვერ შევძელი, რაც მას ძალიან სწყინს. ამის გამო, ვერ ვამყარებ თბილ ურთიერთობას დედამთილთან და მიჭირს საუბარი.

ვიცი, ჩემს დღეში ბევრი რძალია. მაგრამ დედა ერთია ქვეყანაზე. მას ვერავინ შეცვლის. ნუ ეწყინებათ დედამთილებს, თუ მათ „დედას" ვერ დავუძახებთ. ეს თითქმის ყველა ჩემი მეგობრის აზრია.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ალბათ სხვა რძლებიც გამოგვეხმაურებიან, გვირჩიეთ როგორ მოვიქცეთ, რა დავუძახოთ დედამთილს, ამასთან, აუხსენით მათ, რომ ეს დიდი უბედურება არაა. მთავარია პატივისცემა და ურთიერთგაგება რძალ-დედამთილს შორის.

თინა გ.

## ღმერთო, მამა დაგვიბრუნე!

დავეძებთ მამას, რომელმაც ორი წელია მიგვატოვა სამი შვილი. ის წაიყვანა ცუდი ყოფაქცევის ქალმა და მამიდებმაც შეუწყვეს ხელი.

მე უფროსი ვარ და მესმის, ღამე როგორ ტირის ჩემი ლამაზი დედა. ის ქალი კი ულამაზო და უგულოა, რადგან მან მოგვისაჯა უმამოდ ცხოვრება. როცა ეზოში ვთამაშობთ და სხვა ბავშვები მამას ეძახიან, მე თვალზე მომდგარ ცრემლებს ვმალავ.

სამი თვეა ამ წერილს ვამზადებ. მინდა მამის სახელისა და გვარის გამჟღავნება, მაგრამ ვერ ვიმეტებ, მენანება.

დედა დილიდან ღამემდე მუშაობს. სულ შიშობს, შვილებს არ მომიშივდესო...

მე კი სულ ვოცნებობ: მამაჩემი მიხვდეს თავის შეცდომას, შეისმინოს მიტოვებულ შვილთა ვედრება, დაგვიბრუნდეს.

ღმერთო, ეს ოცნება შემისრულე!

მიშიკო გ.
მოსწავლე.

## „საამაყო შვილი"

მინდა ჩემი გულისტკივილი ვაჟიშვილებმა წაიკითხონ. ისინი ითვლებიან ოჯახის ბურჯად, იმედად. ცხოვრებაში კი ასე არ ხდება. ზოგიერთი შვილი კერასაც აციებს და დედის გულსაც.

მამა ფრონტზე დაგვეღუპა. დედამ ორი გოგო და ერთი ბიჭი უმამოდ გაგვზარდა. განსაკუთრებული ყურადღებით ვაჟს ზრდიდა, უნდოდა გამოეყვანა სახელოვანი კაცი, ოჯახის დასაყრდენი. ჩემი ძმა მართლაც „დიდი კაცი" გამოვიდა.

მაგრამ დედა გათხოვილი ქალიშვილების იმედზეა. ყოველ შაბათს მორიგეობით ჩავდივართ მასთან, გვეცოდება მარტოდ დარჩენილი 85 წლის მშობელი.

ჩვენს გადიდკაცებულ ძმას, (მის ცოლშვილს რაღა მოვთხოვოთ) თავისი ოჯახისა და მეგობრების მეტი არავინ აგონდება. ერთხელაც არ მიხედავს მოხუცს. მგონი ერცხვინება კიდეც დაუძლურებული დედა.

დედას ენატრება თავისი დავაჟკაცებული შვილი, მაგრამ არაფერს ამბობს, ჩამქრალი ღიმილით კითხულობს, ნეტავ ხომ კარგადაა მყავს, ენაცვალოს დედაო!

ალბათ, ბევრი მარტოდ დარჩენილი მოხუცი ელოდება გამორჩეულ ვაჟიშვილს, შვილი კი არ ფიქრობს დედაზე, არც იმაზე, რომ მასაც მოუწევს სიბერე და ვაითუ მასაც თვალები გამოუწყალდეს „საამაყო შვილის" მოლოდინში.

გიული თ.

## მაგრამ ერთი სხვისი შვილი...

ვარ დედისერთა სტუდენტი, მიყვარს ქალი. რომელიც ქმარს გაცილებულია და ჰყავს ერთი ბავშვი. მინდა მასზე დავქორწინდე, მაგრამ ჩემი მშობლები ცივ უარზე არიან. ისინი თვლიან, რომ ვარ კარგი სასიძო, და არ უნდა ვითხოვო შვილიანი ქალი, არ უნდა ვზარდო სხვისი შვილი.

დედ-მამა სიგიჟემდე მიყვარს. მათი წყენინება არ მინდა, მაგრამ საცოლეც რომ ძალიან მიყვარს? ან რა დააშავა უმწეო ბავშვმა, თუ გავზრდი, შვილივით შეყვარება. რა არის აქ დასაძრახი, რატომ უნდა გაუკვირდეს ხალხს ჩემი კეთილშობილება?

მშობლები უფლებას არ მაძლევენ სახლში მოვიყვანო ჩემი რჩეული. მე კი თანხმობის გარეშე ოჯახის შექმნა მიჭირს. ასე გადის ჩემთვის უფერული დღეები.

მინდა მივმართო მშობლებს, ნუ ჩაუდგებიან ჯიბრში ახალგაზრდებს, თორემ ბევრი მათგანი საერთოდ აღარ იფიქრებს ოჯახის შექმნაზე. ჩვენს ერს კიდევ ბერბიჭები და გაუთხოვარი ქალები უნდა?

მკითხველო, ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით?

გიორგი დ.

# მშვენიერი მშვენიერისაგან



მცხეთის კერამიკული სკოლის აღზრდილი, ამჟამად სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტის სტუდენტი ლერი პაპიძე ათ წელზე მეტია, რაც ქართული ტრადიციული კერამიკის პოპულარიზაციას ეწევა.

..."გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ავტობუსით სოფლისაკენ მიმავალი, — იგონებს ლერი, — ირგვლივ თეთრ-ვარდისფრად აფეთქებულ ხეთა სურნელით ვტკბებოდი და ფიქრებში ვიყავი ჩაძირული, რომ ჩემ თვალწინ რაღაც მშვენიერმა გაიელვა... ავტობუსის საყრდენს შემოჭდობოდა ქალის ფაიფურივით ქათქათა, საოცრად ლამაზი ხელის თითები. სილამაზე, რომელსაც იმ თითებში ვხედავდი მინდოდა მთელ ქვეყანას დაენახა, არა ფოტოგრაფირებული, ანდა დახატული, არამედ გამოკვეთილი ქათქათა, თეთრი, ძვირფასი ფაიფურის მასალაში.

ულამაზესი თითების მქონე ქალბატონი მუსიკის მასწავლებელი ნინო მაჭარაშვილი აღმოჩნდა.

და აი, თქვენს წინაშეა თეთრი ფაიფურის ხელებში ამოწვდილი წითელი ტიტა, (საყვავილე ლარნაკი), რომელიც ყვავილების ჩარგვისას ან შიგნით ნათურის ანთების დროს უმშვენიერეს შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველში.

ლერის მეორე ნამუშევარია საყვავილე ლარნაკი „წმინდა ნინო", შესრულებულია ნორიოს წითელ თიხაში და შემკობილია ტრადიციულ ქართული ჩუქურთმით.

ნიკოლოზ მუმლაძე

# აქეთური-იქითური აქეთური-იქითური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჭიროა პრეზიდენტობის მოწმობა

პრეზიდენტობის დამადასტურებელი მოწმობა აშშ-ში მხოლოდ მის 41-ე პრეზიდენტზე ჯორჯ ბუშზე გაიცა. მანამდე მსგავსი საბუთის შევსება აზრადაც არავის მოსვლია თავში. აქ კი ეს საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც ბუში ვაშინგტონის გარეუბანში ერთ-ერთ სკოლას ესტუმრა. „აბა, მე რა ვიცი, თქვენ პრეზიდენტი ხართ?“ მიმართა მას მესამეკლასელმა ენტონი ჰენდერსონმა. პრეზიდენტმა ენტონის დარწმუნება ჯერ თავისი ხელმოწერილი „ამერიკენ ექსპრესის“ საკრედიტო ბარათით სცადა, მაგრამ ამ ბარათმა დიდი ვერაფერი ეფექტი იქონია ბიჭუნაზე. მაშინ მანქანის მართვის მოწმობა მიაწოდა — „ნახე, აქ წერია ბუში“.. ბიჭმა დამარცვლით წაიკითხა პრეზიდენტის გვარი, სახელი, ისიც რომ მას აქვს მართვის უფლება, მაგრამ უპასუხოდ დარჩა კითხვა, სად სწერია რომ იგი პრეზიდენტია?

— ჰო მართლა, მე ვიცი, როგორ დაგარწმუნო, — გაიხედე გარეთ დიდი შავი ლიმუზინი დგას... თანაც მე შენ ავტოგრაფს მოგცემ.

— მასწავლებელმა ჩვენ აგვიკრძალა ავტოგრაფების აღება, — ცივად მოუჭრა ენტონმა საგონებელში ჩავარდნილ პრეზიდენტს.

ამ საუბრის ბოლო კი ის არის, რომ დღეს ჯორჯ ბუშს ჯიბეში უდევს პრეზიდენტობის დამადასტურებელი სპეციალური მოწმობა.

## ერთჯერადი გამოყენების კონტაქტური ლინზები

ამერიკული ფირმის „ჯონსონ ენდ ჯონსონის“ სპეციალისტებმა შეიმუშავეს ერთჯერადი ხმარების ლინზები „აკიუვიუ“, რომელსაც მოუხსნელად ხმარობენ ერთი კვირის განმავლობაში, მერე კი გადააგდებენ. „ჯონსონ ენდ ჯონსონმა“ მილიონობით ადამიანი იხსნა კონტაქტური ლინზების შენახვის საჯახირო მანიპულაციებისაგან.

## 12 მილიონი დოლარი — ავანსად

საესტრადო შოუ-მუსიკის მოყვარულთათვის უთუოდ საინტერესო იქნება სტატისტიკა, რომელიც ამას წინათ ჟურნალმა „პარიმატჩმა“ (პარიზი) შესთავაზა მკითხველს: უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თურმე, ცნობილი ამერიკელი მომღერლის ბილ კოსბის შემოსავალმა 115 მილიონს მიაღწია. მეორე ადგილზეა მაიკლ ჯექსონი (100 მლ); შემდეგ — მადონა (62 მლ), ედი მერფი (48 მლ) და პოლ მაკარტნი (45 მილიონი). ეს იმ დროს, როდესაც, მაგალითად, მაიკლ ჯექსონს ამ ხნის განმავლობაში კონცერტები არ გაუმართავს და ახალი ალბომი არ გამოუშვია. თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, ადვილი წარმოსადგენია მაიკლის ქონების შემდგომი ზრდის მაჩვენებელი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მან სულ ახლახან 1 მილიარდ დოლარად ღირებული კონტრაქტი დაუდო იაპონურ ფირმა „სონის“. მომღერალმა ავანსად 12 მილიონი დოლარი მიიღო.

## რას არ გაიგონებ...

ნიდერლანდების ხელისუფლებამ და ევროპის პარლამენტმა სასტიკად დაგმეს გფრ-ს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ჰოლანდიიდან დაბრუნებული გერმანელი ქალები უსათუოდ გამოიკვლიონ... გინეკოლოგიურად.

მიზეზი?

როგორც ცნობილია, გერმანიაში აკრძალულია ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, თუ ამას ქალის ჯანმრთელობა არ მოითხოვს. ამიტომაც ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც გერმანიიდან ქალები მეზობელ ქვეყანაში მიემგზავრებიან აბორტის გასაკეთებლად. საშუალოდ, 6 ათასი ქალი მიმართავს ჰოლანდიის კლინიკებს. ამის გამო, ევროპარლამენტმა მიიღო შესაბამისი რეზოლუცია და ბონის ზემოაღნიშნული ღონისძიება ქალის დისკრიმინაციად და მოქალაქეთა გადაადგილების თავისუფლების პრინციპთა დარღვევად შეაფასა. ვერაფერს იტყვი, სავსებით ცივილიზებული პროტესტია, განსაკუთრებით, ამას წინათ პოლონეთში მომხდარი ამბის ფონზე: მას შემდეგ, რაც პოლონეთის სენატმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც სამი წლის პატიმრობას ითვალისწინებს აბორტის მკეთებელი ექიმებისათვის, აღშფოთებულმა შჩეცინელმა ახალგაზრდა კაცმა ქალაქის ერთ-ერთი ტაძრის საკურთხევლის წინ თავი დაისაჭურისა...

# იუმორი

## შემთხვევა ავტოსახელოსნოში

— ავტოსარემონტო სახელოსნოდან გირეკავთ. თქვენი ცოლი მოვიდა მანქანის შესაკეთებლად, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინ გადაიხ...

ყველაფერი გასაგებია. ავტომობილის შესაკეთებელ ღირებულებას მე გადავიხდი.

— ეგ არ მაწუხებს. მე იმის გაგება მინდა, სახელოსნოს შესაკეთებელ ხარჯებს ვინლა გადაიხდის?

## ღვთის ნაბოძები

სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა ხმამაღლა შეიგინა სწორედ იმ დროს, როცა გვერდით დარბაისელმა ქალმა ჩაუარა.

— ყმაწვილო, სად ისწავლეთ ასეთი საშინელი გამოთქმა, — უსაყვედურა მან.

— არსად. ეს ღვთის ნაბოძებია! — მიუგო ამაყად.

## უნდობლობა

— გესმის, ძაღლი როგორ იყეფება!

— რა დაემართა?

— მეზობლები აგარაკზე მიდიან.

— მერე, ძაღლიც ხომ თან მიჰყავთ, რაღა აყეფებს?

— ეტყობა მიხვდა, რომ საჭესთან დიასახლისი აპირებს დაჯდომას.

# ინდოელი კოსმეტოლოგები გვირჩევენ



მზის რადიაცია, ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, კვება — ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს სახის კანზე.

მშრალი კანისათვის განსაკუთრებით მავნეა სიცივე, ამიტომ სახის კანი დაიცავით შემოდგომა-ზამთრის სიცივისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კანზე ნაოჭები გაგიჩნდეთ.

მშრალი კანის დასარბილებლად გამოიყენეთ შემდეგი საშუალებები: ერთ სუფრის კოვზ რძეში, ერთი მწიკვი სოდა აურიეთ და დაბანის წინ ამ ნარევით გაიწმინდეთ სახე.

ძილის წინ სასარგებლოა სახის კანზე რამდენიმე წვეთი ნუშის ზეთის წასმა (თითების ბოლოების წრიული მოძრაობით ზეთი კანზე შეიზილეთ).

აიღეთ ვარდის წყლის სამი და გლიცერინის ერთი წილი. კარგად აურიეთ ერთმანეთში და ცივ ჰაერზე ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ წაისვით სახეზე.

მწიფე ბანანი დაჭერით, დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი რძე ან ნაღები და ერთგვაროვანი პასტის მიღებამდე კარგად ზილეთ. მომზადებული ნარევი ნიღბის სახით წაისვით და 6 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

გავრცელდა კანზე მუქი პიგმენტური ლაქების გაჩენა. ლიმონის წვენით დროდადრო კანის გაწმენდის შემდეგ ისინი შეიძლება გათეთრდეს. ლაქის წარმოქმნის მიზეზი შეიძლება კანის სიმშრალე იყოს. ამიტომ, კანი რეგულარულად უნდა დაისველოთ. დატენიანების კარგი ნიღაბი შეიძლება მივიღოთ ზღვის წყალმცენარეების, მცენარეული ზეთისა და რძის შერევის გზით.

პიგმენტაციის მიდრეკილების ყველაზე სახიფათო დრო — გაზაფხულის და ზაფხულის თვეებია. ამ პერიოდში გამოიყენეთ კანის მზისდამცავი კრემები ან ყველაზე ხელმისაწვდომი, მაგრამ ასევე ეფექტიური საშუალება. თითო ჩაის კოვზი თაფლის, კეფირის და კვერცხის ცილის ნარევი. თუ ასეთ ნიღაბს გაიკეთებთ, კანი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

თარგმნა
ომარ ესიტაშვილმა

## ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა

# ილორობა

იმართებოდა ხოხლობამდე [illegible] დღით, აღდგომამდე 64 დღით ადრე ყველიერის ხუთშაბათს. მიმართავდნენ ილორის წმინდა გიორგის, რომლის სახელობის ეკლესია სამურზაყანოში მდებარეობს, მაგრამ სახელგანთქმული იყო მთელს დასავლეთ საქართველოში. „ხატი ილორის წმინდა გიორგისა" აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს, თეთრი დგას და შუბი აქვს ხელში...

შემთხვევითი არაა, რომ ილორე გ. ზარაძეს ხოხლობაში აქვს მოხსენიებული, ასევე თედორესაც იხსენიებდნენ ხოხლობაში. ნ. ჯანაშია ხოხლობის გურულ ვარიანტს ილორობასა და აფხაზურ ჯაბრანს, ანთარ-აითარს უკავშირებს და თავის მხრივ შენიშნავს: გურულები ძროხას ხშირად ილორეს უწოდებენო.

აპ. წულაძის აღწერითაც ილორობას გურულები ყველიერის ხუთშაბათს დღესასწაულობდნენ. „გამოაცხობდნენ ძალიან დიდ ხაჭაპურს, რაც შეიძლება მეტი ყველით სავსეს, — ძროხა კაი მეწველი იქნებაო. გააკეთებდნენ ძროხის ცურნესავით ცომს, ამასაც ყველს უზამდნენ და გამოაცხობდნენ. ძროხას რქაზე ანთებულ სანთელს მიაკრავდნენ, შეულოცავდნენ: „ღმერთო, და ილორის წმინდაო გიორგი, იხსენი ჩვენი საქონელი ჭირისა და ფათერაკისაგან, ნადირის კბილისაგან, ძვალი ტვინით გუფუფსე, ძარღვი სისხლით გუფუფსე, ტყავი ხორცით გუფუფსე. ცურნე რძეით გუფუფსე და პატრონს მშვიდობაში და სიამეში მოახმარე".

ან კიდევ აგრე იტყოდნენ: „ღმერთო, ძლიერო, რამდენი ღერი თმა თავზე მაქ, რამდენი ბანალი ჩემს ძროხას აქ, იმდენი საყოლი მაყოლე!".

ამ და ასეთი შელოცვების შემდეგ პირუტყვს მოხსნიდნენ რქიდან სანთელს, იგი ან საილორობო სუფრაზე დაიწვებოდა, ანდა ეს „თავშემორებული სანთელი" ეკლესიაში მიჰქონდათ და წმინდა გიორგის ხატს უნთებდნენ.

ილორობის შელოცვაში ზოგიერთგან ფრაზა „წრის შეკვრასაც" გამოხატავდა[?] ურევდა. მთქმელის წარმოდგენით, როცა ხარებსა და ფურებს მგლები შემოუტევდნენ, ხარები წრეში ფურებსა და ხბოებს გააჩერებდნენ, თვითონ ხარები კი მათკენ კუდებითა და წინ რქებით დგებოდნენ, ასე იგერიებდნენ მგლებსაო".

ცხენები კი პირიქითაო, — მარწმუნებდნენ სოფსაში, — კვიცებს წრის გულში მოიქცევენ და მათკენ თავებით დგანან, უკან კი მგლებს „კვინტებით იშორებენ-ო".

მორწმუნეთა წარმოდგენით, გარეული ცხოველი თედორემ გაიშინაურა, აგრე მითხრეს: „ყველა ხვადაგი ილორემ მოაშინაურა".

ილორობა ისტორიულ წყაროებშიც არის ასახული. ხელბედნიერი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ვკითხულობთ: „მონადირეები გიორგობას მეფესთან მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან", რაც დაიკვლის, წილი მონადირეებსა და მათ ძაღლებსაც ერგებათ, მეფე და დედოფალი მონადირეებს აჯილდოებენ — „პურსა, ღვინოსა და საკლავსა"... აძლევენო.

ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „მწვადი მეფისათვის მონადირეთუხუცესს სწორედ „წლისთავით თევდორობამდისა" უნდა მიერთმია".

ილორობის რიტუალს მეჯოგეები უფრო გულდაგულ აღნიშნავდნენ. ცხოველის ტყავსაც კი ლოცავდნენ: ნაბუზარი არ გექნესო. ნაბუზარი ისაა, ცხოველს რომ ბუზები ზურგზე დაკბენენ და კანში მატლები გაჩნდება. გაზაფხულზე გამოძვრებიან და ტყავი დახვრეტილი რჩება.

იოსებ მეგრელიძე

# საახლოესი შრომის კანონისა და საქორწინო, საოჯახო კოდექსებში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით ქალს შვებულება ორსულობისა და მშობიარობისათვის მშობიარობამდე 56 კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ 56 (ხოლო გართულებული მშობიარობის ან ორი და ორზე მეტი ბავშვის შეძენის შემთხვევაში — 70) კალენდარული დღე ეძლეოდა. ახალი კანონით **მშობიარობამდე კუთვნილი 56 დღე 70-მდე გაიზარდა.**

ამ მუხლის სიახლედ ჩაითვლება ისიც, რომ ორსულობისა და მშობიარობის გამო კუთვნილი შვებულების დღეები ჯამდება, ე. ი. თუ ქალმა ვერ გამოიყენა მშობიარობამდე შვებულების 70 დღე, გამოუყენებელი დრო მშობიარობის შემდეგ კუთვნილ 56 კალენდარულ დღეს დაემატება. მშობიარობამდე შვებულების გამოუყენებელი დღეები ქალს ადრე ეკარგებოდა.

ეს კანონი ვრცელდება იმ ქალებზეც, რომლებმაც ახალი კანონის მიღებამდე იმშობიარეს, მაგრამ ბოლომდე არ გამოუყენებიათ მშობიარობის შემდგომი შვებულების 56 კალენდარული დღე.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოვლისათვის ქალს ეძლეოდა, ერთ წლამდე. ახალი კანონით ეს შვებულება გაიზარდა ბავშვის წელიწადნახევრის გახდომამდე.

დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოვლისათვის ქალს მიეცემა, ვიდრე ბავშვი სამი წლის გახდება. ადრე კი, სანამ ბავშვი წელიწადნახევრისა გახდებოდა.

ამასთან საყურადღებოა, რომ ნაწილობრივ ანაზღაურებული და დამატებით უხელფასო შვებულება შეიძლება მიეცეს როგორც ბავშვის დედას, ისე მამას, ბებიას, პაპას ან სხვა ნათესავს — ფაქტიურ აღმზრდელს.

ცვლილება განიცადა საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 72-ე მუხლმა, რომელიც არასრულწლოვანი შვილებისათვის ალიმენტის გადახდევინების ოდენობას ითვალისწინებს. ახალი კანონით სახსრები, რომელთა გადახდა მშობლებს ეკისრებათ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებებში მყოფი შვილებისათვის, ჩაირიცხება აღსაზრდელთა პირად ანგარიშზე შემნახველ ბანკში და არა სახელმწიფოს ანგარიშზე, რასაც ადრე მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა. გადასახდელი თანხა გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ერთ ბავშვზე — მშობლის ხელფასის (შემოსავლის) ერთი მეოთხედი, ორ ბავშვზე — ერთი მესამედი, სამ და მეტ ბავშვზე — ნახევარი, მაგრამ თვეში არა ნაკლებ 20 მანეთისა.

მაია ვაჩაძე,
იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი ინფორმაციის განყოფილების უფროსი

## უსიტყვოდ

მხატვარი ამირან ერაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
99-98-71;
99-71-68

მასალები გადაეცა ასაწყობად 29. 07. 91 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.. 09. 91 წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8 ოფსეტური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 95.000 შეკვ. 1497

წიწილები    იური რიდალიოვის ფოტო



6174/111



ინდექსი 76174

ფასი 1 მანეთი